

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
„მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

2017 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლის ფინანსური
ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
ფულადი სახსრები მოძრაობის ანგარიშგება.....	8
საკუთარ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10
1 ზოგადი ინფორმაცია	10
2 მომზადების საფუძვლები	11
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	12
4 შესადარისი ინფორმაცია	30
5 წმინდა საპროცენტო შემოსავალი	31
6 სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები.....	32
7 მოგების გადასახადის ხარჯი	32
8 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	33
9 კლიენტებზე გაცემული სესხები	34
10 ძირითადი საშუალებები.....	38
11 სხვა აქტივები	39
12 სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები	39
13 სააქციო კაპიტალი და რეზერვები	41
14 რისკების მართვა კორპორატიული მმართველობა და შიდა კონტროლის მექანიზმები ..	41
15 საოპერაციო იჯარები.....	51
16 პირობითი ვალდებულებები.....	51
17 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	52
18 სამართლიანი ღირებულების იერარქია.....	53



შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა, მე-5 სართული
თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, 0105 საქართველო
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ პარტნიორებს

დასკვნა

ჩვენ მოვახდინეთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებით ასპექტში, სამართლიანად ასახავს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ები) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაბამის საფუძველს.

სხვა საკითხი

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი განახორციელეს სხვა აუდიტორებმა, რომლებმაც გამოთქვეს არამოდიფიცირებული აზრი მოცემულ ანგარიშგებაზე 2017 წლის 10 აპრილს.

ხელმძღვანელობის ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ხელმძღვანელობის ანგარიშზე“. ეს უკანასკნელი ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება წინამდებარე აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს და ჩვენ არანაირი ფორმით არ გავცემთ მასთან დაკავშირებულ დასკვნას.

ფინანსური ანგარიშის აუდიტის ფარგლებში ჩვენი პასუხისმგებლობა გავეცნოთ ხელმძღვანელობის ანგარიშს მას შემდეგ, რაც ის ხელმისაწვდომი გახდება და ამასთან დაკავშირებით განვსაზღვროთ არსებითად შეესაბამება თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას, ან სხვაგვარად არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.



მას შემდეგ, რაც ჩვენ გავეცნობით ხელმძღვანელობის ანგარიშს, ჩვენ გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ:

- შეესაბამება თუ არა სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებას და მოიცავს თუ არა ის არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს თუ არა სხვა ინფორმაცია საქართველოს კანონის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ მიერ მოთხოვნილ ყველა სხვა ინფორმაციას და შეესაბამება თუ არა ამ კანონის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების ფასს-ს შესაბამისად მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს „კომპანიის“ საქმიანობის გაგრძელების უნარი, საჭიროებისამებრ გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის აღნიშნული პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „კომპანიის“ ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს ოპერაციები, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული ქმედებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ ასს-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და და ისინი არსებითია თუ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის ჩატარებისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;



სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გვერდი 3

- ვსწავლობთ აუდიტის მიზნებისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა „კომპანიის“ შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს „კომპანიის“ საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს „კომპანიის“, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს სამართლიანად;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი შედეგების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმებში აღმოჩენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

აუდიტის პარტნიორი, რომლის შედეგადაც მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა“ გაიცა, არის:


ენდრიუ კოქსშელი


შპს „KPMG Georgia“
თბილისი, საქართველო
23 ივლისი, 2018 წელი

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2017 ლარი'000	2016 ლარი'000
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	1,134	1,820
კლიენტებზე გაცემული სესხები	9	33,464	27,757
ძირითადი საშუალებები	10	1,363	459
არამატერიალური აქტივები		228	197
გადავადებული საგადასახადო აქტივები	7	167	148
მიმდინარე საგადასახადო აქტივი		151	-
სხვა აქტივები	11	1,554	2,180
სულ აქტივები		38,061	32,561
ვალდებულებები			
სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები	12	31,946	27,200
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		-	107
სხვა ვალდებულებები	12	411	426
სულ ვალდებულებები		32,357	27,733
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	13	2,155	2,100
სააქციო პრემია		795	719
გაუნაწილებელი მოგება		2,754	2,009
სულ საკუთარი კაპიტალი		5,704	4,828
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		38,061	32,561

6-53 გვერდებზე მოცემული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 23 ივლისს და ამ უკანასკნელის სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

_____ 
 გია პეტრიაშვილი
 გენერალური დირექტორი

_____ 
 თათია ჯაჯანაშვილი
 ფინანსური დირექტორი

*სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისთვის*

	შენიშვნები	2017 ლარი'000	2016 ლარი'000
საპროცენტო შემოსავალი	5	8,243	5,555
საპროცენტო ხარჯი	5	(3,439)	(2,389)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		4,804	3,166
საკომისიო შემოსავალი		830	470
წმინდა (ზარალი)/შემოსულობა ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან		(797)	524
წმინდა შემოსულობა ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან		239	39
საოპერაციო შემოსავალი		5,076	4,199
გაუფასურების ზარალი	9	(601)	(330)
პერსონალის ხარჯები		(2,034)	(1,239)
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,545)	(1,054)
მოგება დაბეგრამდე		896	1,576
მოგების გადასახადის ხარჯი	7	(151)	(263)
მოგება წლის განმავლობაში		745	1,313
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		745	1,313

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით
შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ
ნაწილს.

*სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისთვის*

	შენიშვნები	2017 ლარი'000	2016 ლარი'000
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
მოგება დაბეგვრამდე		896	1,576
კორექტირებები:			
სესხის და დასაკუთრებული ქონების გაუფასურების ზარალი	9,11	635	394
საპროცენტო დარიცხვები		(4,804)	(3,166)
ცვეთა და ამორტიზაცია		189	115
ბონუსის და აუდიტის ხარჯის დარიცხვა		295	181
წმინდა (ზარალი) შემოსულობა ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან		797	(524)
(მატება) /კლება საოპერაციო აქტივებში			
კლიენტებზე გაცემული სესხები		(7,002)	(8,545)
სხვა აქტივები		592	(1,532)
მატება / (კლება) საოპერაციო ვალდებულებებში			
სხვა ვალდებულებები		(223)	(121)
მიღებული პროცენტი		8,004	5,452
გადახდილი პროცენტი		(3,439)	(2,293)
მოგების გადასახადის გადახდამდე საოპერაციო საქმიანობებიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(4,060)	(8,463)
გადახდილი მოგების გადასახადი		(429)	(418)
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან		(4,489)	(8,881)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(1,045)	(236)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(152)	(66)
ძირითადი საშუალებების გაყიდვისგან მიღებული თანხები		-	2
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული ფულადი ნაკადები		(1,197)	(300)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან			
სუბორდინირებული სესხებისა სხვა ნასესხები თანხების მიღება		50,284	36,704
სუბორდინირებული სესხების და სხვა ნასესხები თანხების დაფარვა		(45,290)	(27,492)
ამონაგები სააქციო კაპიტალის გამოშვებიდან		131	987
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან		5,125	10,199
წმინდა (კლება) / მატება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(561)	1,018
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(125)	264
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,820	538
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		1,134	1,820

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

*სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“
საკუთარ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისთვის*

ლარი'000	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,614	219	696	2,529
კაპიტალში აღრიცხული ოპერაციები დამფუძნებლებთან				
გამოშვებული აქციები	486	500	-	986
სულ ოპერაციები დამფუძნებლებთან	486	500	-	986
მოგება წლის განმავლობაში	-	-	1,313	1,313
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	1,313	1,313
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,100	719	2,009	4,828
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,100	719	2,009	4,828
კაპიტალში აღრიცხული ოპერაციები დამფუძნებლებთან				
გამოშვებული აქციები	55	76	-	131
სულ ოპერაციები დამფუძნებლებთან	55	76	-	131
მოგება წლის განმავლობაში			745	745
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში			745	745
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,155	795	2,754	5,704

საკუთარ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1 ზოგადი ინფორმაცია

(a) ორგანიზაცია და ოპერაციები

„კომპანია“ საქართველოში დარეგისტრირდა სააქციო საზოგადოების სახით 2012 წლის 6 დეკემბერს. მისი ძირითადი საქმიანობა მოიცავს საკრედიტო ოპერაციებს, ფულად ოპერაციებს და ვალუტის გადაცვლის ტრანზაქციებს. „კომპანიის“ საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში „სებ“). „კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერია 404967078.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია: ცინცადის ქუჩა №41, თბილისი, საქართველო.

„კომპანიას“ 9 ფილიალი აქვს. მისი ყველა აქტივი და ვალდებულება საქართველოშია განლაგებული.

„კომპანიას“ სრულად ფლობენ „აქციონერთა ჯგუფის“ წევრები. არ არსებობს კომპანიის ერთპიროვნული მაკონტროლებელი მხარე.

31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ აქციებს ფლობდნენ შემდეგი აქციონერები:

	31 დეკემბერი, 2017 წელი		31 დეკემბერი, 2016 წელი	
	აქტივების მთლიანი		აქტივების მთლიანი	
	რაოდენობის პროცენტულობა	რაოდენობა	რაოდენობის პროცენტულობა	რაოდენობა
გია პეტრიაშვილი	33.2%	716,000	33.5%	706,000
ოთარ რუხაძე	15.1%	325,000	15.5%	325,000
მურმან ამბროლაძე	8.4%	180,000	8.6%	180,000
თენგიზ მაზიაშვილი	9.7%	209,500	10.0%	209,500
ტარას ნიჟარაძე	8.6%	186,000	7.1%	150,000
გოდერძი მელაძე	7.0%	150,000	7.1%	150,000
გიორგი გოთოშია	7.0%	150,000	7.1%	150,000
გიორგი ვაჩნაძე	5.7%	123,500	5.9%	123,500
შპს „JB“	2.7%	60,000	2.9%	60,000
გიორგი ღვალაძე	0.9%	19,000	0.8%	16,000
ეთერ ჩაჩიბაია	1.0%	21,000	0.9%	18,000
თათია ჯაჯანაშვილი	0.7%	15,000	0.6%	12,000
	100%	2,155,000	100%	2,100,000

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია მე-17 შენიშვნაში.

(b) ბიზნეს გარემო

საქართველოს ბიზნეს გარემო

„კომპანია“ საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად, მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას „კომპანიის“ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2 მომზადების საფუძვლები

(a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

(b) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც აისახება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

(c) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი (ლარი), რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ვალუტას. ის ასახავს ძირითადი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს.

ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას წინამდებარე ანგარიშგების მიზნებისთვის.

ლარში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

(d) შეფასებების და დაშვებების გამოყენება

ფასს-ებთან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი მსჯელობის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენებას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების წარდგენილ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აისახება იმ პერიოდში, როდესაც გადაიხედა ეს შეფასება და ნებისმიერ მომავალ პერიოდში, რომელსაც ის ეხება.

ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული კრიტიკული დაშვებების მნიშვნელოვანი არეების შესახებ მოცემულია შემდეგ განმარტებით შენიშვნებში:

- სესხის გაუფასურების შეფასება - შენიშვნა 9.
- ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასება - შენიშვნა 18.

(e) ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში და პრეზენტაცია

„ჯგუფმა“ მიიღო სტანდარტების შემდეგი ცვლილებები, რომელთა თავდაპირველი გამოყენების თარიღია 2017 წლის 1 იანვარი:

- *ინფორმაციის გაცემის ინიციატივა (ბასს 7-ის ცვლილება)*. ბასს 7 (ფულადი ნაკადების ანგარიშგება) შეიცვალა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს უფრო ფართო ინიციატივის ფარგლებში ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და მასში წარმოდგენილი ინფორმაციის გაცემის გაუმჯობესების მიზნით. ცვლილება საჭიროებს ისეთი ინფორმაციის გაცემას, რომელიც ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს შეაფასონ ცვლილები ფინანსური საქმიანობებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში, მათ შორის ცვლილებები, რომლებიც წარმოიშვება ფულადი ნაკადებიდან და არაფულადი ცვლილებებიდან. ამ ახალი მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთერთ გზას წარმოადგენს ფინანსური საქმიანობებიდან წარმოშობილი ვალდებულებებისთვის საწყისი და საბოლოო ნაშთების შეჯერების განხორციელება. თუმცა, მიზანი შესაძლებელია სხვაგვარადაც იქნას მიღწეული.

- გადავადებული გადასახადის აქტივის აღიარება განუხორციელებელი ზარალებისთვის (ბასს 12-ის ცვლილება). ბასს 12-ის (მოგებიდან გადასახადები) ცვლილებით განიმარტება, რომ დაქვითვადი დროებითი ცვლილებების არსებობა დამოკიდებულია მხოლოდ აქტივის საბალანსო ღირებულების მის საგადასახადო ბაზასთან შედარებაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და მასზე არ მოქმედებს შესაძლო მომავალი ცვლილებები აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან მისი აღდგენის მოსალოდნელ წესზე. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო ბაზა სავალდებულო ინსტრუმენტის საწყის ღირებულებაზე დარჩება, ადგილი ექნება დროებით სხვაობას. ცვლილებებიდან ჩანს, რომ საწარმოს შეუძლია აღიაროს გადავადებული საგადასახადო აქტივი, თუ კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში მისი საგადასახადო ამონაგების მომავალი საბოლოო შედეგი მოსალოდნელია იყოს ზარალი.
- ფასს-ების 2014-2016 წლების ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება - სხვადასხვა სტანდარტი (ფასს 12-ის ცვლილება). ფასს 12-ი (განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში) იძლევა განმარტებას, რომ ინფორმაციის გაცემის მოთხოვნები სხვა საწარმოებში არსებული ინტერესებისთვის ასევე ვრცელდება ინტერესზე, რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად ან გასავრცელებლად ხელმისაწვდომი.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდში, გარდა შენიშვნა 2-ში განმარტებული შემთხვევისა, რომელიც სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებებს ეხება.

(a) უცხოური ვალუტა

(i) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება შესაბამის სამუშაო ვალუტაში, ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების დღეს კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში, ამ თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ფულად-საკრედიტო ერთეულებზე კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი წარმოადგენს ფუნქციონალურ ვალუტაში აღრიცხულ და პერიოდის განმავლობაში ეფექტური პროცენტით და გადახდებით დაკორექტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული იმ ამორტიზირებულ ღირებულების შორის სხვაობას, რომელიც კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში, პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები, რომლებიც ისტორიული ღირებულებით ფასდება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

ვალუტის კონვერტირებით გამოწვეული სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(b) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ხელთ არსებულ ბანკნოტებს და მონეტებს და ბანკში არსებულ შეუზღუდავ ნაშთებს. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ამორტიზირებული ღირებულებით აისახება.

(c) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) კლასიფიკაცია

მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები, მოიცავს ფინანსურ აქტივებს ან ვალდებულებებს, რომლებიც:

- წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს წარმოადგენენ.

ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ფინანსური ინსტრუმენტების შესაბამის კლასიფიკაციას ამ კატეგორიაში მათი თავდაპირველი აღიარების დროს. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიცირება მოგება ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახვის კატეგორიიდან.

სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომელთა კოტირება არ ხდება აქტიურ ბაზარზე, გარდა აქტივებისა,

- რომელთა გაყიდვასაც გეგმავს „კომპანია“ სასწრაფოდ ან უახლოეს პერიოდში;
- რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისთანავე „კომპანია“ განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში;
- რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისთანავე „კომპანია“ განსაზღვრავს გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიაში ან,
- როდესაც „კომპანიას“ არ შეუძლია თავდაპირველი ინვესტიციის დაბრუნება, რაც განპირობებულია საკრედიტო პირობების გაუარესების გარდა არსებული სხვა მიზეზებით.

(ii) აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა „კომპანია“ ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე. ფინანსური აქტივების ყველა რეგულარული შესყიდვა აღიარდება ანგარიშგების დღეს.

(iii) შეფასება

ფინანსური აქტივი ან ვალდებულება თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ წარმოადგენენ სამართლიანი ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ემატება ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების შეძენას ან გამოშვებას.

საწყისი აღიარების შემდეგ, ფინანსური აქტივები, აქტიური წარმოებული ინსტრუმენტების ჩათვლით, ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების გამოუკლებლად, რომლებიც შესაძლოა გაწეულ იქნას მათი გაყიდვის ან განკარგვის დროს, გარდა:

- სესხებისა და მოთხოვნებისა, რომლების ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით;

ყველა ფინანსური ვალდებულება, გარდა მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისა, ასევე ფინანსური ვალდებულება, რომელიც წარმოიშვება სამართლიანი ღირებულებით ფლობილი ფინანსური აქტივის ისეთი გადაცემისას, რომლის შედეგად არ ხდება ამ აქტივის აღიარების შეწყვეტა და ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით.

(iv) ამორტიზირებული ღირებულება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება არის ამ აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების ღირებულება, რომელსაც აკლდება ძირი თანხის გადახდები და ემატება ან აკლდება, თავდაპირველად აღიარებულ ღირებულებასა და დაფარვის

დროს არსებულ ღირებულებას შორის არსებულ სხვაობისა ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით დათვლილი კუმულაციური ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალი. პრემიები და ფასდაკლებები, თავდაპირველი ოპერაციის ხარჯების ჩათვლით, გათვალისწინებულია შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზირდება ამ ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

(v) სამართლიანი ღირებულების შეფასების პრინციპები

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემისათვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული ჩვეულებრივი გარიგების ფარგლებში ძირითად ბაზარზე, ან მისი არარსებობის შემთხვევაში, ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე, რომელზეც „კომპანია“ აქვს წვდომა აღნიშნული თარიღისთვის. ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ასახავს მისი შეუსრულებლობის რისკს.

არსებობის შემთხვევაში, ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის „კომპანია“ იყენებს აქტიურ ბაზარზე კოტირებულ ფასს. ბაზარი ითვლება აქტიურად თუ აქტივებსა ან ვალდებულებებზე გარიგებები სრულდება საკმარისი სიხშირით და გარიგებათა მოცულობა იძლევა მყისიერად ფასის დადგენის საშუალებას.

აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასის არარსებობის შემთხვევაში, „კომპანია“ იყენებს შეფასების მეთოდს, რომელიც მიზნად ისახავს შესაბამისი დაკვირვებადი მონაცემების მაქსიმალურ გამოყენებას და არადაკვირვებადი მონაცემების გამოყენების მინიმუმადე დაყვანას. არჩეული შეფასების მეთოდი მოიცავს ყველა ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ასეთ ვითარებაში.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ტრანზაქციის ფასი, ანუ გაცემული თუ მიღებული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება. თუ „კომპანია“ განსაზღვრავს, რომ თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულება განსხვავდება ტრანზაქციის ფასისგან და არ დასტურდება არც აქტიურ ბაზარზე მსგავს აქტივსა და ვალდებულებაზე კოტირებული ფასით და არც შეფასების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს, ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას ასახულ სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის არსებული სხვაობით. ამის შემდეგ სხვაობა შესაბამისად აისახება მოგება ან ზარალში ინსტრუმენტის ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ მომენტისა, როცა შეფასება მთლიანად დადასტურდება დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების, ან ტრანზაქცია დაიხურება.

(vi) შემოსულობები და ზარალი სამართლიანი ღირებულების შემდგომი შეფასებისას

ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება შემდეგნაირად:

- მოგებაში ან ზარალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხულად კლასიფიცირებული ფინანსური აქტივიდან ან ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში;

ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც წყდება აღნიშნული ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების აღიარება, ან ისინი გაუფასურებულია, ასევე ამორტიზირების პროცესში.

(vii) აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როცა ფინანსური აქტივიდან შემოსულ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო უფლებების ვადა ამოიწურება ან როცა „კომპანია“ გაასხვისებს აღნიშნული ფინანსური აქტივის საკუთრებიდან გამომდინარე

არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, ან როცა „კომპანია“ არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკებსა და სარგებელს და არ იტოვებს გადაცემული აქტივის კონტროლის უფლებას. გადაცემულ ფინანსური აქტივში (რომელიც ექვემდებარება აღიარების შეწყვეტას) ნებისმიერი ნარჩენი წილი, რომელიც იქმნება ან რჩება „კომპანიაში“, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ცალკე აქტივად ან ვალდებულებად. „კომპანია“ წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან იწურება.

„კომპანია“ ახორციელებს მის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული აქტივების გადაცემის ოპერაციებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემული აქტივების ან მათი ნაწილის ყველანაირ რისკს და სარგებელს. ყველა ან არსებითად ყველა რისკის და სარგებლის შენარჩუნების შემთხვევაში გადაცემული აქტივების აღიარების შეწყვეტა არ ხდება.

ოპერაციებში, სადაც „კომპანია“ არც ინარჩუნებს და არც გადასცემს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, ის წყვეტს აქტივის აღიარებას იმ შემთხვევაში, თუ დაიკარგება აქტივის კონტროლის უფლება.

ისეთი გადაცემის შემთხვევაში, როდესაც შენარჩუნებულია აქტივის კონტროლის უფლება, „კომპანია“ აგრძელებს აქტივის აღიარებას მანამ სანამ ვადაგადაცილებული აქტივის ღირებულების ცვლილება გავლენას ახდენს „კომპანიაზე“.

„კომპანია“ ახორციელებს იმ აქტივების ჩამოწერას, რომელთა გადახდა უიმედოდ არის მიჩნეული.

(viii) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს ფორვარდულ და სპოტ ოპერაციებს სავალუტო ბაზრებზე.

წარმოებული ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღეს და შემდგომში გადაფასდებიან სამართლიანი ღირებულებით. წარმოებული ინსტრუმენტი აქტივების სახით აღირიცხება, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, ხოლო ვალდებულებად - უარყოფითი სამართლიანი ღირებულების შემთხვევაში.

წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილებები მყისიერად აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ეს ინსტრუმენტები არ კვალიფიცირდება ჰეჯირების აღრიცხვისთვის.

(ix) ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „კომპანიას“ მოცემული მომენტისთვის აქვს სამართლებრივი უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს აღიარებული თანხები და განზრახული აქვს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად. „კომპანიას“ მოცემული მომენტისთვის აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთგაქვითვა, თუ ამგვარი უფლება არ არის დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და იმოქმედებს როგორც საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის პროცესში, ასევე „კომპანიის“ და ყველა კონტრაგენტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაშიც.

(d) ძირითადი საშუალებები

(i) საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აისახება აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებული ღირებულებით.

როცა ძირითადი საშუალებები განსხვავდება სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულების სახით.

(ii) საიჯარო აქტივები

ყველ იჯარა საოპერაციო იჯარას წარმოადგენს.

(iii) ცვეთა

ცვეთა მოგებას ან ზარალს წრფივი მეთოდის გამოყენებით ირიცხება, ინდივიდუალური აქტივების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. ცვეთის დარიცხვა იწყება შესყიდვის დღეს ან, ორგანიზაციის შიგნით შექმნილი აქტივებისთვის, იმ დღეს, როდესაც აქტივი დასრულდება და მოხმარებისთვის მზად იქნება. მიწას ცვეთა არ ერიცხება. მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადებია:

- შენობა-ნაგებობები	40 წელი
- ავეჯი და მოწყობილობები	5 წელი
- იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	7 წელი

(e) არამატერიალური აქტივები

შემნილი არამატერიალური აქტივები წარდგენილია თვითღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთის და გაუფასურებული ზარალის თანხას.

ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადა 5 წელს შეადგენს.

(f) გაუფასურება

ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს „კომპანია“ აფასებს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულია. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, „კომპანია“ განსაზღვრავს გაუფასურების ზარალს თანხით.

ფინანსური აქტივი ან ამგვარი აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მიიჩნევა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა (ან შემთხვევები) გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მომავალში მოსალოდნელ შეფასებულ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ობიექტური მტკიცებულება იმისა რომ, ფინანსური აქტივები გაუფასურდა, მოიცავს მსესხებლის მიერ სესხის თანხის გადაუხდელობას ან სესხთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებისა თუ პირობის დარღვევის შემთხვევას, სესხის რესტრუქტურისა ან ავანსის გაცემას ისეთი პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდა, ნიშნებს იმის თაობაზე, რომ მსესხებელი ან თავდები გაკოტრდა, ფასიანი ქაღალდისთვის აქტიური ბაზრის გაქრობას, უზრუნველყოფის გაუფასურებას ან აქტივების კომპანიასთან დაკავშირებულ სხვა შესამჩნევ მონაცემებს, მაგალითად, ჯგუფში შემავალი მსესხებლების გადახდის მაჩვენებელში უარყოფით ცვლილებებს, ან ეკონომიკურ ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალი მსესხებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობასთან.

(i) ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები პირველ რიგში მოიცავს სესხებს და სხვა მოთხოვნებს (სესხები და მოთხოვნები). გაუფასურების შეფასების მიზნით „კომპანია“ რეგულარულად ახდენს მისი სესხების და მოთხოვნების გადახედვას.

თავდაპირველად „კომპანია“ აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად იმ სესხებისა და მოთხოვნებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია, და იმ სესხებისა და მოთხოვნებისთვის ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, რომლებიც არ არიან ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი. თუ „კომპანია“ განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული სესხების ან მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური (მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო) მტკიცებულება, ის სესხებს და მოთხოვნებს გაითვალისწინებს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე სესხებისა და მოთხოვნების ჯგუფში და კოლექტიურად შეაფასებს მათ გაუფასურებაზე. სესხები და მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალურად არ ფასდებიან გაუფასურებაზე და რომლისთვისაც დადგა ან გრძელდება გაუფასურების აღიარება, არ გათვალისწინდება გაუფასურების კოლექტიურ შეფასებაში.

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ადგილი ჰქონდა სესხების ან მოთხოვნების გაუფასურების ზარალს, ზარალის თანხა ფასდება როგორც სხვაობა სესხის ან მოთხოვნის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, საგარანტიო ხელშეკრულებებიდან და უზრუნველყოფიდან ამოღებადი თანხების ჩათვლით, რომლებიც დისკონტირდება სესხის ან მოთხოვნის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები და ისტორიული ზარალის გამოცდილება, რომელიც კორექტირდება მიმდინარე ეკონომიკური პირობების შესაბამისი დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასების საფუძველს იძლევა.

რიგ შემთხვევაში, სესხის ან მოთხოვნის გაუფასურების ზარალის თანხის შეფასებისთვის მოთხოვნილი დაკვირვებადი მონაცემები შესაძლოა შეზღუდული იყოს ან აღარ შეესაბამებოდეს სრულად არსებულ ვითარებებს. ეს შესაძლოა იყოს შემთხვევა, როდესაც მსესხებელს ექნება ფინანსური სირთულეები ან იარსებებს მსგავს მსესხებლებთან დაკავშირებული მცირე რაოდენობით ხელმისაწვდომი ისტორიული მონაცემები. ასეთ შემთხვევებში რაიმე სახის გაუფასურების ზარალის შესაფასებლად „კომპანია“ იყენებს მის გამოცდილებას და მსჯელობას.

სესხებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული ყველა გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში და მათი უკუგატარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი თანხის შემდგომი ზრდა შესაძლოა ობიექტურად უკავშირდებოდეს მოვლენას, რომელიც გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ წარმოიშვება.

თუ სესხი უიმედოა, ის ჩამოიწერება სესხის გაუფასურების შესაბამისი რეზერვის ხარჯზე. „კომპანია“ ჩამოწერს სესხის ნაშთს (და სესხის ზარალის ნებისმიერ შესაბამის რეზერვს), როცა ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, რომ სესხები უიმედოა და როდესაც განხორციელებულია სესხის დასაბრუნებლად საჭირო ყველა საჭირო ნაბიჯი.

(ii) არაფინანსური აქტივები

ყოველ ანგარიშგების დღეს „კომპანია“ აფასებს, გადავადებული გადასახადის გარდა სხვა ყველა სხვა არაფინანსური აქტივის გაუფასურების ნიშნებს. არაფინანსური აქტივების ანაზღაურებადი თანხა წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას და გასაყიდ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესის სხვაობას.

გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო საანგარიშო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელსაც არ შემოაქვს ფულადი ნაკადები, გამოყენების ღირებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის გამოყენების ღირებულებას.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ყველა გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში და ანულირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება ანაზღაურებადი თანხის განსაზღვრაში გემოყენებული, ნებისმიერი აღდგენილი გაუფასურების ზარალი აღდება იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც, ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით, განისაზღვრებოდა გაუფასურების ზარალის არ აღიარების შემთხვევაში.

(g) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება განვლილი მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დაფარვას დასჭირდება ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ გავლენა არსებითია, ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით დაბეგრამდე არსებული განაკვეთით, რაც ასახავს ფულის დროით ღირებულების და, შესაბამის შემთხვევაში, ვალდებულების დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს.

(h) სააქციო კაპიტალი

(i) ჩვეულებრივი აქტივები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. ჩვეულებრივი აქციების და აქციების ოფციონების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული დამატებითი ხარჯები გამოიქვითება კაპიტალიდან დაქვითვის სახით, ნებისმიერი საგადასახადო ეფექტის გამოკლებით.

(ii) დივიდენდები

„კომპანიის“ მიერ დივიდენდების გამოცხადებისა და გადახდის უნარი ექვემდებარება საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო წესებისა და რეგულაციების შესაბამისად.

ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების აღიარება ხდება გაუნაწილებელი მოგების განაწილების სახით, მათი გამოცხადების პერიოდში.

(i) დაბეგრა

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება სხვა სრული შემოსავლის ერთეულებს ან პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ ოპერაციებს აქციონერებთან, რა შემთხვევაშიც ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე წარმოადგენს წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებას და დაშვებულს ზემოთ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ჩათვლა ვრცელდება გადახდილ მიმდინარე მოგების გადასახადზე 2008-2017 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2023 ან შემდეგ წლებში.

გადახდილი დივიდენდების მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად იმისა თუ როდის გადაიხდება ან რომელ პერიოდს ეკუთვნის აღნიშნული დივიდენდი.

(ii) გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება დროებით სხვაობებთან მიმართებაში, ფინანსური ანგარიშგების მიზნით, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და, საგადასახადო მიზნით, გამოყენებულ თანხებს შორის

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება გამოუყენებელი საგადასახადო ზარალებთან, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებსა და დაქვითვად დროებით სხვაობებთან მიმართებაში იმის გათვალისწინებით, რომ სავარაუდოდ ხელმისაწვდომი იქნება მომავალი დასაბეგრი მოგება, რომელთან მიმართებაშიც შესაძლებელი იქნება მათი გამოყენება. მომავალი დასაბეგრი მოგება განისაზღვრება შესაბამისი დასაბეგრი დროებითი სხვაობების აღდგენის საფუძველზე. თუ დასაბეგრი დროებითი სხვაობების თანხა არასაკმარისია გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად აღიარებისთვის, არსებული დროებითი სხვაობების აღდგენაზე მორგებული მომავალი დასაბეგრი მოგება განისაზღვრება ჯგუფში ინდივიდუალური შვილობილი კომპანიების ბიზნეს გეგმების საფუძველზე. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაიხდება ყველა საანგარიშგებო თარიღში და მცირდება იმის გათვალისწინებით, რომ აღარ იქნება შესაძლებელი შესაბამისი საგადასახადო სარგებლის რეალიზაცია; ამგვარი შემცირებები აღდგება მომავალი საგადასახადო მოგების შესაძლებლობის გაუმჯობესების შემთხვევაში.

არაღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები განმეორებით ფასდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში და აღიარდება იმ ოდენობით რომელიც მომავალ სავარაუდო მოგებებს შეესაბამება, რომელთან მიმართებაშიც შესაძლებელი იქნება მათი გამოყენება.

გადავადებული გადასახადი ფასდება საგადასახადო განაკვეთით, რომლის გამოყენებაც მოსალოდნელია დროებით სხვაობებთან მიმართებაში, როცა ისინი აღდგება, ანგარიშგების თარიღისთვის ძალაში შესული ან შემდგომში ამოქმედებულ კანონმდებლობის საფუძველზე.

გადავადებული გადასახადის შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს, რომლებიც ითვალისწინებს „კომპანიის“ მოლოდინებს, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღადგინოს ან დაფაროს მისი აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება, თუ არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვის სამართლებრივი უფლება და ისინი უკავშირდება იგივე საგადასახადო უწყების მიერ იგივე

დაბეგვრის საწარმოზე დაკისრებულ მოგების გადასახადებს, ან სხვადასხვა დაბეგვრის საწარმოზე დაკისრებულ მოგების გადასახადს, სადაც არის განსაზღვრა რომ მოხდეს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების ანგარიშსწორება ნეტო საფუძველზე, ან მათი საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ერთდროულად რეალიზდება.

მიმდინარე და გადავადებული გადასახადების თანხის განსაზღვრისას, ჯგუფი ითვალისწინებს გაურკვეველი საგადასახადო პოზიციების გავლენას და იმას, არის თუ არა გადასახადელი დამატებით გადასახადები, ჯარიმები და პროცენტი დაგვიანებულ გადახდებზე. „კომპანიას“ სჯერა, რომ მისი დარიცხვები საგადასახადო ვალდებულებებზე ადეკვატურია ყველა ღია საგადასახადო წლისთვის, მის მიერ მრავალი ფაქტორის შეფასების, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტირების და განვლილი გამოცდილების საფუძველზე. ეს შეფასება ეყრდნობა დაშვებასა და ვარაუდებს და მან შეიძლება მოიცვას მომავალი მოვლენების შესახებ მსჯელობების მთელი სპექტრი. შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს ახალი ინფორმაცია, რომელიც „კომპანიას“ აიძულებს შეცვალოს მისი მსჯელობა არსებული საგადასახადო ვალდებულებების ადეკვატურობასთან დაკავშირებით; საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ამგვარი ცვლილებები გავლენას იქონიებს საგადასახადო ხარჯზე ამგვარი განსაზღვრების გაკეთების პერიოდში.

გადავადებული გადასახადის თანხა ეფუძნება აქტივებისა და ვალდებულებების რეალიზაციის ან დაფარვის მოსალოდნელ ფორმას 2023 წლის 1 იანვრამდე, საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული ან არსებითად ამოქმედებული საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდოა, რომ მომავალი დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება 2023 წლის 1 იანვრამდე, რომელთან მიმართებაშიც გამოყენებული იქნება დროებითი სხვაობები, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალები და კრედიტები. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაიხდება ყოველ საანგარიშგებო პერიოდში და მცირდება იმ შემთხვევაში, თუ აღარაა მოსალოდნელი საგადასახადო სარგებლის გამოყენება.

ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ ფინანსურ ინსტიტუტებს 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ აღარ ექნებათ სხვაობები აქტივების საგადასახადო ბაზებს და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის და, შესაბამისად, არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

(j) შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში მოქმედი საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხის გაცემის, სესხის მომსახურების და სხვა საფასურები, რომლებიც სესხის მთლიანი მომგებიანობის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა, დაკავშირებული საოპერაციო ხარჯებთან ერთად, გადავადდება და აღიარდება საპროცენტო შემოსავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სხვა საფასურები, საკომისიო და სხვა შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

საოპერაციო იჯარის საფუძველზე განხორციელებული გადახდები აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში. მიღებული საიჯარო ფასდაკლებები აღიარდება მთლიანი საიჯარო ხარჯის შემადგენელი ნაწილის სახით, იჯარის ვადის განმავლობაში.

(k) ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

ქვემოთ მოცემული სტანდარტები, სტანდარტების ცვლილებები, და ინტერპრეტაციები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში შესული არ არის და არ გამოყენებულა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. „კომპანია“ ამ ცვლილებების მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლის შემდეგ. ხსენებული ცვლილებებიდან, პოტენციურად შემდეგს ექნება გავლენა ფინანსურ პოზიციასა და მაჩვენებლებზე.

მოსალოდნელია, რომ შემდეგ სტანდარტებს არსებითი გავლენა ექნება „კომპანიის“ ფინანსურ ანგარიშგებაზე, მათი თავდაპირველი გამოყენების პერიოდში.

(a) ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

2014 წლის ივლისის თვეში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს 9-ის (ფინანსური ინსტრუმენტები) საბოლოო ვერსია. ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან და მას შემდეგ დაწყებული ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, სტანდარტის ვადაზე ადრე მიღების დაშვებით. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება).

2017 წლის ოქტომბერში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა „უარყოფითი კომპენსაციის მქონე წინასწარი გადახდების ელემენტები“ (ფასს 9-ის ცვლილება). ცვლილება ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან და მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდისთვის, ვადაზე ადრე მიღების შესაძლებლობით.

„კომპანია“ თავდაპირველად გამოიყენებს ფასს 9-ის 2014 წლის ივლისში გამოცემულ ვერსიას 2018 წლის 1 იანვარს და ვადაზე ადრე მიიღებს ფასს 9-ის ცვლილებას იგივე თარიღში. მოცემული თარიღისთვის განხორციელებული შეფასებების საფუძველზე, ფასს 9-ის მიღების მთლიანი სავარაუდო ცვლილება (გადასახადის გამოკლებით) „კომპანიის“ საკუთარი კაპიტალის საწყის ბალანსზე 2018 წლის 1 იანვარის მდგომარეობით დაახლოებით 673 ათას ლარს შეადგენს, რაც მოიცავს:

- გაუფასურების მოთხოვნებთან დაკავშირებულ კლებას დაახლოებით 585 ათასი ლარის ოდენობით (იხილეთ (ii));
- გადავადებულ საგადასახადო გავლენებთან დაკავშირებულ კლებას დაახლოებით 88 ათასი ლარის ოდენობით.

ზემოთ მოცემული შეფასება წინასწარია, რადგან ყველა გარდამავალი სამუშაო არ არის დასრულებული. ფასს 9-ის 2018 წლის 1 იანვარს მიღების ფაქტიური გავლენა შესაძლოა შეიცვალოს, რადგან:

- ფასს 9 მოითხოვს „კომპანიის“ მიერ მისი სააღრიცხვო პროცესებისა და შიდა კონტროლის მექანიზმების გადახედვას და ეს ცვლილებები ჯერ არ არის დასრულებული;
- ახალი სააღრიცხვო პოლიტიკები, დაშვებები, მსჯელობები და პროგნოზირების ტექნიკები შეიძლება შეიცვალოს, სანამ „კომპანია“ არ დაასრულებს სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემცველ მის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას.

i. კლასიფიკაცია – ფინანსური აქტივები

ფასს 9 მოიცავს კლასიფიცირებისა და შეფასების ახალ მიდგომას ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ასახავენ იმ ბიზნეს მოდელს, რომელის ფარგლებში ხდება ფინანსური აქტივების მართვა და მათი ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებს.

ფასს 9 მოიცავს კლასიფიცირების სამ პრინციპულ კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ის აუქმებს არსებულ ბასს 39-ის დაფარვამდე ფლობილის, სესხებისა და მოთხოვნების და გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიებს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ორ კატეგორიას და არ აღიარდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას

ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია და ის არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

არა სავაჭროდ ხელმისაწვდომი, კაპიტალის ფასიან ქაღალდების თავდაპირველი აღიარებისას, „კომპანიას“ შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, შემდგომი ცვლილებები ასახოს სხვა სრულ შემოსავალში. ეს არჩევანი კეთდება თითოეული კონკრეტული ინვესტიციისათვის.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული როგორც 'ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული' ან 'სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით', როგორც ეს ზემოთ არის განსაზღვრული, ფასდება 'სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით'. ამასთან, თავდაპირველი აღიარებისას, „ჯგუფს“ აქვს შეუქცევადი არჩევნის უფლება ისეთი ფინანსური აქტივი, რომელიც წარმოადგენს ამორტიზირებული ღირებულებით ან, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ფინანსურ აქტივს, განისაზღვროს აქტივად სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ეს აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს საანგარიშგებო შეუსაბამობას, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს ადგილი.

ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება ერთერთ ზემოთ წარმოდგენილ კატეგორიაში. ფინანსური კლასიფიკაციის შესახებ გარდამავალ მოთხოვნებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად იხილეთ პარაგრაფი (vi).

ფასს 9-ის ფარგლებში, ისეთ ხელშეკრულებებში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები, რომლის საგანსაც ფინანსური აქტივი წარმოადგენს, არ განცალკევდება. ამის ნაცვლად, კლასიფიკაციისთვის მთლიანობაში ფასდება ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტი.

ბიზნესმოდელის შეფასება

„კომპანია“ შეაფასებს თუ რა ამოცანებს ისახავს თითოეული ბიზნეს მოდელი რომლის ფარგლებშიც ხდება ფინანსური აქტივების პორტფელის მართვა, რადგან ეს ასახავს ბიზნესის მართვის და ხელმძღვანელობისთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმებს. გათვალისწინებული ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:

- პორტფელთან მიმართებაში არსებული ამოცანები და პოლიტიკები და ამგვარი პოლიტიკების მოქმედება პრაქტიკაში, მათ შორის არის თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია მიმართული სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის გამომჟღავნებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ვადის იმ ვალდებულებების ვადასთან თანხვედრაზე, რომლითაც ფინანსდება ეს აქტივები ან ფულადი ნაკადების მოხვეჭას აქტივების გაყიდვის გზით; როგორ ხდება პორტფელის შედეგების შეფასება და ამ შეფასებების კომუნიკაცია „კომპანიის“ ხელმძღვანელობისთვის;

- რისკები, რომლებიც მოქმედებენ ბიზნეს-მოდელის (და ამგვარ ბიზნეს მოდელში არსებული ფინანსური აქტივების) მაჩვენებლებზე და რამდენად იმართება ამგვარი რისკები;
- როგორ ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება - მაგ. ეფუძნება თუ არა ანაზღაურება მართვის ქვეშ არსებული აქტივების სამართლიან ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- განვილი პერიოდებში გაყიდვების სიხშირე, მოცულობა და ვადები, ამგვარი გაყიდვების მიზეზები და მომავალი სავაჭრო საქმიანობის მოლოდინები. ინფორმაცია სავაჭრო საქმიანობის შესახებ ცალკე არ განიხილება. ის წარმოადგენს „კომპანიის“ შეფასების ნაწილს, თუ რამდენად არის მიღწეული ფინანსური აქტივების მართვასთან დაკავშირებით „კომპანიის“ მიერ განსაზღვრული მიზნები და რამდენად არის რეალიზებული ფულადი ნაკადები.

შეფასება იმისა, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს

ამ შეფასების მიზნით, 'ძირი თანხა' განისაზღვრება როგორც ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. 'პროცენტი' განისაზღვრება როგორც გასამრჯელო რაც ფულის დროით ღირებულებას, კონკრეტული დროის განმავლობაში გადაუხდელ ძირ თანხის საკრედიტო რისკისა და სხვა ძირითად საკრედიტო რისკებს და ხარჯებს (მაგ. ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები), ასევე მოგების მარჟას უკავშირდება.

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხებისა და პროცენტის გადახდებს, „კომპანია“ გაითვალისწინებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. „კომპანია ასევე გაითვალისწინებს“, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომელმაც შესაძლოა ისეთი ფორმით შეცვალოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადები ან თანხა, რომ ის აღარ დააკმაყოფილებს მოცემულ პირობას. შეფასების განხორციელებისას, „კომპანია“ ითვალისწინებს შემდეგს:

- შესაძლო მოვლენები, რომლებიც შეცვლიან ფულადი ნაკადების თანხას და ვადებს;
- ლევერიჯის ფუნქციები;
- წინასწარ დაფარვისა და ვადის გახანგრძლივების პირობები;
- პირობები, რომლებიც ზღუდავენ „კომპანიის“ უფლებას მოითხოვოს ფულადი ნაკადები კონკრეტული აქტივებიდან - მაგ. აქტივების განთავსების რეგრესი;
- ვითარებები, რომლებიც ცვლიან ფულის დროითი ღირებულების გადახდებს - მაგ. საპროცენტო განაკვეთების პერიოდული ცვლილება.

„კომპანიის“ სესხების უმრავლესობა მოიცავს მათი წინასწარ დაფარვის ელემენტს.

აქტივის წინასწარ დაფარვის ელემენტი, შეესაბამება ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის კრიტერიუმებს, თუ წინასწარ დაფარვის თანხა არსებითად წარმოადგენს დაუფარავ ძირ თანხასა და ამ ძირ თანხასთან დაკავშირებულ პროცენტს, რომლებიც შესაძლოა ასევე მოიცავდნენ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტასთან დაკავშირებულ გონივრულ გადახდებს.

ამასთან, მიიჩნევა, რომ წინასწარ დაფარვის შეთანხმება აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს, თუ ფინანსური აქტივის შემენა ან წარმოშობა მოხდა პრემიით ან დისკონტირებით; წინასწარ დაფარვის თანხა არსებითად წარმოადგენს სახელშეკრულებო ნომინალურ ღირებულებას დამატებული დარიცხულ (მაგრამ გადაუხდელ) სახელშეკრულებო პროცენტს (რაც შესაძლოა ასევე მოიცავდეს გონივრულ კომპენსაციას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის), ხოლო წინასწარ დაფარვის ელემენტის სამართლიანი ღირებულება უმნიშვნელოა თავდაპირველი აღიარებისას.

გავლენის შეფასება

სტანდარტი შეეხება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებულ ფინანსური აქტივების კლასიფიცირებასა და შეფასებას შემდეგი სახით:

- სესხები და კლიენტებისთვის გადახდილი ავანსები, რომლებიც კლასიფიცირებულია სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში და ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ბასს 39-ის შესაბამისად, ზოგადად ასევე შეფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ფასს 9-ის ფარგლებში.

ii. გაუფასურება - ფინანსური აქტივები, სესხის გაცემის ვალდებულებები და ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებები

ფასს 9 ჩაანაცვლებს ბასს 39-ში არსებულ 'განციდელი ზარალის' მოდელს, მომავალზე ორიენტირებული 'მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის' მოდელით. ეს მოითხოვს მნიშვნელოვან მსჯელობებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორების ცვლილება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე, რომელიც განისაზღვრება ალბათობაზე დაფუძნებულ საფუძველზე.

ფასს 9 მოითხოვს ზარალის რეზერვების აღიარებას 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ან არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ეკვივალენტური თანხით. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალს, რომელიც მომდინარებს დეფოლტის ყველა შესაძლო შემთხვევიდან ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის პერიოდში, ხოლო 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალს, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო თარიღის შემდგომ 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი დეფოლტის შემთხვევის შედეგს.

„კომპანია“ აღიარებს ზარალის რეზერვებს სიცოცხლის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით.

ფასს 9-ის გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები კომპლექსურია და საჭიროებს ხელმძღვანელობის მსჯელობებს, ვარაუდებს და დაშვებებს, კერძოდ ქვემოთ განხილულ სფეროებში:

- შეფასება იმის, არის თუ არა ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაზრდილი მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ; და
- გამოყენებულია თუ არა მომავალზე ორიენტირებული ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალის ალბათობით შეწონილ შეფასებას და ის ფასდება შემდეგი სახით:

- *ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენენ გაუფასურებულ კრედიტს საანგარიშგებო თარიღისთვის:* აუნაზღაურებელი ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულება - ე.ი. სხვაობა ხელშეკრულების საფუძველზე „კომპანიის“ მიერ მისაღებ ფულად სახსრებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის „კომპანია“;
- *ფინანსური აქტივები, რომლებიც წარმოადგენენ გაუფასურებულ კრედიტს ანგარიშგების თარიღისთვის:* სხვაობა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებასა და მთლიან საბალანსო ღირებულებას შორის;
- *ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებები:* გარანტიის მფლობელის ანაზღაურებისთვის განსახორციელებელი მოსალოდნელი გადახდების მიმდინარე ღირებულება, ნებისმიერი თანხის გამოკლებით, რომლის აღდგენასაც მოელის „კომპანია“.

ფასს 9 განსაზღვრავს გაუფასურებული კრედიტის ფინანსურ აქტივებს იმ ფინანსური აქტივების მსგავსი ფორმით, რომლებიც გაუფასურებულია ბასს 39-ის საფუძველზე.

დეფოლტის განმარტება

ფასს 9-ის ფარგლებში, „კომპანია“ ფინანსურ აქტივს დეფოლტირებულად განიხილავს ერთერთი ან რამოდენიმე შემდეგი ვითარების წარმოშობის შემთხვევაში:

- სავარაუდოდ მსესხებელი სრულად ვერ დაფარავს „კომპანიის“ წინაშე მის არსებულ საკრედიტო ვალდებულებებს, „კომპანიის“ მიერ ისეთი ღონისძიებების განუხორციელებლად, როგორც არის უზრუნველყოფის რეალიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- მსესხებელი 90 დღეზე მეტი ვადით არის ვადაგადაცილებული „კომპანიის“ წინაშე მის ნებისმიერ არსებით საკრედიტო ვალდებულებებთან მიმართებაში.

იმის შესაფასებლად, არღვევს თუ არა მსესხებელი მის ვალდებულებებს, „კომპანია“ განიხილავს შემდეგ მონაცემებს და რაოდენობრივ ინდიკატორებს:

- სესხი ვადაგადაცილებულია 90 დღეზე მეტი პერიოდით;
- მსესხებლის გარდაცვალება;
- დეფოლტი, გაკოტრების საქმესთან დაკავშირებული წარმოების ინიცირება (ბიზნეს მსესხებლებისთვის).

მონაცემები რომლებიც განსაზღვრავენ არის თუ არა ფინანსური ინსტრუმენტი დეფოლტში, ასევე მათი მნიშვნელობა დროთა განმავლობაში შესაძლოა შეიცვალოს გარემოებათა ცვლილების შესაბამისად.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

ფასს 9-ის ფარგლებში, „კომპანია“ განსაზღვრავს მოხდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის (ე.ი. დეფოლტის რისკის) მნიშვნელოვანი ზრდა. ამ მიზნისთვის, „კომპანია“ იყენებს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია არაჯეროვანი ხარჯების ან მცდელობების გარეშე. ასეთი მონაცემები მოიცავს ხარისხობრივ და რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზის, რომელიც ეფუძნება „კომპანიის“ ისტორიულ გამოცდილებას, კრედიტის საექსპერტო შეფასებას და მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას.

„კომპანია“ პირველ რიგში მოახდენს იმის იდენტიფიცირებას, აქვს თუ არა ადგილი საკრედიტო რისკში მნიშვნელოვან მატებას შემდეგი მონაცემების შედარების გზით:

- საანგარიშგებო პერიოდისთვის არსებული დეფოლტის ალბათობა ინსტრუმენტის დარჩენილი ვადისთვის; და
- დეფოლტის ალბათობის დარჩენილი ვადა მოცემული მომენტისთვის, იმ პერიოდში, როდესაც მოხდა ინსტრუმენტის დამოკიდებულების თავდაპირველი აღიარება.

განსაზღვრა იმისა, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი

„კომპანიამ“ შეიმუშავა ჩარჩო, რომელიც მოიცავს სტატისტიკურ რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინდიკატორებს იმის განსაზღვრად, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი კონკრეტულ ფინანსურ ინსტრუმენტზე მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ჩარჩო თანხვედრაშია „კომპანიის“ საკრედიტო რისკის მართვის შიდა პროცესთან. იმის კრიტერიუმები, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი განსხვავდება პორტფელის მიხედვით და ის მოიცავს ვადაგადაცილებაზე დაფუძნებულ ინფორმაციას.

კონკრეტულ ვითარებაში, მისი დაკრეტიდების პროფესიული (პროფესიონალური) გამოცდილების და, შესაძლებლობის ფარგლებში, შესაბამისი ისტორიული გამოცდილების გამოყენებით, „კომპანიას“ შეუძლია განსაზღვროს, რომ ინსტრუმენტმა განიცადა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, თუ კონკრეტული ხარისხობრივი ფაქტორები მეტყველებენ ამაზე მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტორები შესაძლოა სრულად და დროულად არ იქნას აღმოჩენილი

მისი საყრდენი ინდიკატორების მიერ. დამხმარე მონაცემების სახით და ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად, „კომპანია“ სავარაუდოდ გაითვალისწინებს, რომ მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში ადგილი არ ექნება თუ აქტივი 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული არ იქნება. „კომპანია“ განსაზღვრავს ვადაგადაცილების დღეებს თავდაპირველი ვადაგადაცილების თარიღიდან განვლილი დღეების რაოდენობის გაანგარიშებით.

„კომპანია“ გააკონტროლებს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის იდენტიფიცირებისათვის გამოყენებული კრიტერიუმების ეფექტურობას რეგულარული განხილვა-გადახედვის გზით, იმის დასადასტურებლად, რომ:

- განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით შესაძლებელია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის იდენტიფიცირება სესხის დეფოლტში გადასვლამდე;
- კრიტერიუმები არ შეესაბამება დროის იმ მომენტს, როცა აქტივის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა აღემატება 30-ს;
- საშუალო დრო საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის იდენტიფიცირებასა და დეფოლტის წარმოშობას შორის არის გონივრული;
- ინსტრუმენტები არ გადადის 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების კატეგორიაში; და
- არ არსებობს გაუფასურების რეზერვის უსაფუძვლო რყევა, რომელიც გამოწვეულია ზარალის რეზერვში 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალსა და არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს შორის მონაცვლეობის შედეგად წარმოიშვება.

მოდულიზირებული ფინანსური აქტივები

სესხის სახელშეკრულებო პირობები შესაძლებელია შეიცვალოს რიგი მიზეზების გამო, როგორცაა საბაზრო პირობების ცვლა, კლიენტის შენარჩუნება და სხვა ფაქტორები რომლებიც არ არიან დაკავშირებული კლიენტის პოტენციურ საკრედიტო გაუარესებასთან. არსებული სესხის აღიარება, რომლის პირობებიც შეიცვალა შესაძლებელია შეწყდეს და ახალ სესხად აღიარებულ იქნას მოდიფიცირებული სესხი, სამართლიანი ღირებულებით.

„კომპანია“ განმეორებით გადახედავს ფინანსური სირთულეების მქონე კლიენტებზე გაცემულ სესხებს (შემდგომში „შემამსუბუქებელი ღონისძიებები“) სესხის დაბრუნების შესაძლებლობების გაზრდისა და დეფოლტის რისკის მინიმიზების მიზნით. „კომპანიის“ შემამსუბუქებელი პოლიტიკის ფარგლებში სესხზე შემამსუბუქებელი პირობების მინიჭება ხდება შერჩევით საფუძველზე, თუ მსესხებელი მოცემულ მომენტში დეფოლტში იმყოფება ან თუ არსებობს დეფოლტის მაღალი რისკი, არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ მსესხებელმა გამოიყენა ყველა გონივრული ძალისხმევა განეხორციელებინა გადახდა საწყისი სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად და რომ მსესხებელი შეძლებს დააკმაყოფილოს შეცვლილი პირობები. რესტრუქტურირებული სესხები გადადის მე-2 ეტაპზე და გამოიყენება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

შეცვლილი პირობები როგორც წესი გულისხმობს დაფარვის ვადის გახანგრძლივებას, საპროცენტო გადახდების განრიგისა და სესხთან დაკავშირებული პირობების ცვლილებას. შემსუბუქების პოლიტიკა ხორციელდება როგორც კორპორაციული ასევე საცალო სესხებზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად საჭირო კომპონენტები

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების გამოსათვლელად გამოიყენება შემდეგი ცვლადი მონაცემები:

- დეფოლტის ალბათობა,
- დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში, და
- დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები.

ეს პარამეტრები წარმოიშობა ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სტატისტიკური მოდელებიდან და სხვა ისტორიული მონაცემებიდან, რომლებიც აბალანსებენ მარეგულირებელ მოდელებს. ისინი შეიცვლება ისეთი ფორმით, რომ ასახონ მომავალზე ორიენტირებული ინფორმაცია, ქვემოთ აღწერილის შესაბამისად.

დეფოლტის ალბათობა არის კონკრეტული თარიღისთვის არსებული ალბათობა, რომელიც დაანგარიშდება სესხის სეგმენტების ყოველთვიური ისტორიული მიგრაციის საფუძველზე, ვალდებულებების შეუსრულებლობის გამოცდილების გათვალისწინებით. მიგრაციის მატრიცები შემდგომში გადაანგარიშდება 1 წლის და არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობების მისაღებად.

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში წარმოადგენს ზარალის მოცულობას, რაც შეიძლება დადგეს დეფოლტის შემთხვევაში. „კომპანია“ დაადგენს დანაკარგებს დეფოლტის შემთხვევაში დეფოლტირებული კლიენტების ისტორიული აღდგენების სტატისტიკაზე დაყრდნობით. აღდგენის განაკვეთები დაანგარიშდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, დისკონტირების ფაქტორის სახით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები წარმოადგენს, ვალდებულებას, რომლის შეუსრულებლობაც შეიძლება მოხდეს. „კომპანია“ მოიპოვებს ინფორმაციას დეფოლტს დაქვემდებარებულ თანხებზე, კონტრაგენტის მიმდინარე დავალიანებიდან და ხელშეკრულებით დაშვებულ მიმდინარე თანხაში პოტენციური ცვლილებებიდან, ამორტიზაციის და ავანსების გათვალისწინებით. თანხები წარმოადგენს დეფოლტის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

იმ შემთხვევებში როდესაც პარამეტრის მოდელირება ხდება კოლექტიურ ბაზისზე, ფინანსური ინსტრუმენტები დაჯგუფებული იქნებიან საერთო რისკის გათვალისწინებით:

- პროდუქტის ტიპი;
- უზრუნველყოფის ტიპი.

ხსენებული დაჯგუფებები რეგულარულად გადაიხედება, ჯგუფში არსებული რისკების დონის ერთგვაროვნების უზრუნველსაყოფად.

მომავალ პერიოდზე ორიენტირებული ინფორმაცია

ფასს 9-ის თანახმად, „კომპანია“ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში გაითვალისწინებს მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას. ეს შეფასება ასევე ეფუძნება გარე ინფორმაციებს. გარე ინფორმაციები შესაძლოა მოიცავდეს სახელმწიფო ორგანოების და მსხვილი ფინანსური ორგანიზაციების ეკონომიკურ მონაცემებსა და მოლოდინებს იმ ქვეყანაში, სადაც ფუნქციონირებს „კომპანია“; მაგალითად საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციას.

„კომპანიამ“ მოახდინა, თითოეული ფინანსური ინსტრუმენტის პორტფელთან დაკავშირებული საკრედიტო რისკებისა და საკრედიტო დანაკარგების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორების იდენტიფიცირება და დოკუმენტირება და ისტორიულ მონაცემების ანალიზის გამოყენებით შეაფასა დამოკიდებულება მაკროეკონომიკურ ცვალებადობასა და დეფოლტის ალბათობებს შორის. ეს ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი წარმოადგენს მშპ-ს პროგნოზირებას. პროგნოზირებული დამოკიდებულება ძირითად ინდიკატორს, დეფოლტსა და ზარალის მაჩვენებლებს შორის ფინანსური აქტივების სხვადასხვა პორტფელზე შემუშავდა განვლილი 5 წლის განმავლობაში ისტორიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

ზემოქმედების შეფასება

„კომპანიის“ ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 9-ის მიღების შედეგად ყველაზე დიდი ზემოქმედება რეზერვების ახალ მოთხოვნებს ექნება. გაუფასურების ზარალი შემცირდება და გახდება უფრო ცვალებადი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, ფასს 9-ის გაუფასურების მოდელის ფარგლებში.

„კომპანიამ“ შეაფასა, რომ 2018 წლის 1 იანვარს ფასს 9-ის მიღების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის კლება (საგადასახადო ეფექტის გათვალისწინების გარეშე) დაახლოებით 585 ათას ლარს შეადგენს.

კლასიფიკაცია-ფინანსური ვალდებულებები

ფასს 9 უმეტესად უცვლელს ტოვებს ბასს 39-ის მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან მიმართებაში.

iii. აღიარების შეწყვეტა და კონტრაქტის მოდიფიკაცია

ფასს 9 უმეტესად უცვლელად ტოვებს ბასს 39-ის მოთხოვნებს ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტასთან მიმართებაში.

თუმცა ის შეიცავს სპეციფიურ მითითებებს, როდესაც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგება ან ზარალში ასახვით ფინანსური ინსტრუმენტის მოდიფიკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას. ფასს 9-ის მიხედვით, „კომპანია“ გადაითვლის ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებას) მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დისკონტირებით, თავდაპირველი ეფექტური პროცენტის გათვალისწინებით და განსხვავებას აღიარებს მოგება ზარალში, როგორც ზარალს ან შემოსულობას. ბასს 39-ის მიხედვით კი, „კომპანია“ არ აღიარებს ზარალს ან შემოსულობას მოგებაში ან ზარალში ან ფინანსური ვალდებულების და ფინანსური აქტივების მოდიფიცირებას, რომლებიც არ იწვევენ აღიარების შეწყვეტას.

ამ ახალი მოთხოვნების მიღებით „კომპანია“ უმნიშვნელო გავლენას მოეხდის.

iv. წარდგენა

ფასს 9 მოითხოვს ვრცელ ახალ წარსადგენ ინფორმაციას, კერძოდ ჰეჯირების აღრიცხვასთან, საკრედიტო რისკებთან და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან მიმართებაში.

v. ეფექტი კაპიტალური დაგეგმვაზე

„კომპანიის“ ამჟამინდელი შეფასებით, ფასს 9-ის მიღებას არ ექნება გავლენა მის საწესდებო კაპიტალზე; თუმცა უახლოეს მომავალში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს შემდგომ განვითარებებს მარეგულირებელ გარემოში ამ ასპექტთან მიმართებაში.

vi. გარდამავალი ეტაპი

ფასს 9-ის მიღების შედეგად განხორციელებულ ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში ზოგადად რეტროსპექტულად განვითარდება, გარდა ქვემოთ აღწერილი შემთხვევებისა.

- „კომპანია“ ისარგებლებს გამონაკლისის გამოყენების უპირატესობით, რომელიც უფლებას აძლევს მას არ მოახდინოს წინა პერიოდის შესადარი ფინანსური ინფორმაციის შესწორება, კლასიფიცირებისა და შეფასებასთან (მათ შორის გაუფასურება) მიმართებაში. ფინანსური აქტივის და ვალდებულების საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა, რომელიც გამოწვეულია ფასს 9-ის მიღებით, აღიარებული იქნება გაუნაწილებელი მოგების და რეზერვების 2018 წლის 1 იანვრის ნაშთში.
- შემდგომი შეფასებები უნდა გაკეთდეს იმ ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე, რომელიც არსებობს საწყისი გამოყენების თარიღისათვის.
- ბიზნეს-მოდელის დადგენა, რომელშიც ფინანსური აქტივებია განსაზღვრული.

(b) ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 ჩაანაცვლებს შემდეგ არსებულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს: ბასს 17 (ლიზინგი), ფასიკ 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), იმკ 15 (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და იმკ 27 (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას).

ეს სტანდარტი ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია საწარმოებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 15-ს, ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების დღეს ან ამ თარიღამდე.

ფასს 16 წარმოადგენს იჯარის ბალანსზე აღრიცხვის, ერთიან მოდელს. მოიჯარე აღიარებს გამოყენების უფლების მქონე აქტივს, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას, რომელიც საიჯარო გადახდების განხორციელების ვალდებულებას წარმოადგენს. არსებობს აღიარების გამონაკლისები მოკლევადიანი იჯარებისთვის და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის. მეიჯარის სააღრიცხვო პროცედურები არსებულ სტანდარტს ჰგავს - ე.ი. მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანსური ან საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას.

„კომპანია“ დაასრულა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 16-ის მიღებით გამოწვეული პოტენციური გავლენის შეფასება. ფასს 16-ის გამოყენების ფაქტიური გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე თავდაპირველი გამოყენების პერიოდში დამოკიდებული იქნება მომავალ ეკონომიკურ პირობებზე, მათ შორის 2019 წლის 1 იანვარს „კომპანიის“ საკრედიტო განაკვეთზე, „კომპანიის“ საიჯარო პორტფელის შემადგენლობაზე მოცემული თარიღისთვის, „კომპანიის“ მიერ განხორციელებულ ბოლო შეფასებაზე იმასთან დაკავშირებით, ისარგებლებს ის თუ არა რაიმე სახის იჯარის განახლების ფუნქციით და ასევე „კომპანიის“ მიერ პრაქტიკული ჩანაწერებისა და აღიარებების გათავისუფლების გამოყენებაზე.

ყველაზე მნიშვნელოვანი იდენტიფიცირებული გავლენა მოიცავს „კომპანიის“ მიერ ახალი აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებას მისი საოფისე შენობის საოპერაციო იჯარიდან გამომდინარე. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ მომავალმა მინიმალურმა არადისკონტირებულმა საიჯარო გადასახადმა გაუუქმებელი საოპერაციო იჯარების ფარგლებში შეადგენდა 1,398 ათასი ლარი, არადისკონტირებულ საფუძველზე (იხილეთ მნიშვნა 15).

ამასთან, ამ იჯარებთან დაკავშირებული ხარჯების ხასიათი შეიცვლება იმის გამო, რომ ფასს 16 ჩაანაცვლებს წრფივი საოპერაციო იჯარების ხარჯს ცვეთის დარიცხვით გამოყენების უფლების მქონე აქტივებისთვის და საიჯარო ვალდებულებებზე საპროცენტო ხარჯისთვის. „კომპანიის“ ფინანსური იჯარებისთვის მნიშვნელოვანი გავლენა მოსალოდნელი არ არის.

i. გარდამავალი ეტაპი

როგორც მოიჯარე, „კომპანიის“ შეუძლია გამოიყენოს სტანდარტი

- რეტროსპექტიული მიდგომის გამოყენებით, ან
- მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომით პრაქტიკული ხასიათის გამარტივების გამოყენებით.

მოიჯარე ყველა მის იჯარასთან მიმართებაში თანმიმდევრულად იყენებს შერჩეულ მიდგომასა.

„კომპანია“ გეგმავს ფასს 16-ის თავდაპირველ გამოყენებას 2019 წლის 1 იანვარს, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომის გამოყენებით. შესაბამისად, ფასს 16-ის

მიღების კუმულაციური ეფექტი აღიარდება 2019 წლის 1 იანვარს გაუნაწილებელი მოგების საწყისი ბალანსის ცვლილების სახით, შესადარისი ინფორმაციის შეცვლის გარეშე.

ბასს 17-ის ფარგლებში საოპერაციო იჯარების სახით კლასიფიცირებულ იჯარებზე გამოყენებისას, მოიჯარეს შეუძლია თითოეული იჯარის საფუძველზე შეარჩოს გამოიყენოს თუ არა პრაქტიკული მიზანშეწონილობის რაოდენობა გარდამავალ პერიოდში. „კომპანია“ აფასებს ამ პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენების პოტენციურ გავლენას.

„კომპანიას“ არ მოეთხოვება რაიმე სახის ცვლილების განხორციელება იჯარებისთვის, რომელშიც ის მეიჯარეა, გარდა შემთხვევებისა, სადაც ის ქვეიჯარის შუალედური მეიჯარეა.

(c) სხვა სტანდარტები

არ არის მოსალოდნელი, რომ შემდეგ შეცვლილ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს ექნება მნიშვნელოვანი გავლენა „კომპანიის“ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ფასს-ების 2014-2016 ციკლის ყოველწლიური განახლება - ფასს 1-ის და ბასს 28-ის ცვლილება.
- აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების კლასიფიკაცია და შეფასება (ფასს 2-ის ცვლილება).
- საინვესტიციო ქონების გადაცემა (ბასს 40-ის ცვლილება).
- ინვესტორსა და მასთან დაკავშირებულ პირს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივებით ვაჭრობა ან კონტრიბუცია (ფასს 10-ის და ბასს 28-ის ცვლილება).
- ფასიკ 22 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად.
- ფასიკ 23 მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული გაურკვეველობები.

4 შესადარისი ინფორმაცია

შესადარისი ინფორმაცია რეკლასიფიცირდება 2017 წლის ინფორმაციასთან შესაბამისობის მიზნით. „კომპანიამ“ მოახდინა ფულადი უზრუნველყოფების რეკლასიფიცირება, რომლებიც საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების (კლასიფიცირებული შეზღუდული ფულადი სახსრების სახით) საფუძველზეა დაგირავებული. „კომპანიის“ აზრით, ამგვარი კლასიფიკაცია უფრო ზუსტად ასახავს ინფორმაციას ოპერაციის ეკონომიკური არსს.

ლარი'000	31 დეკემბერი 2016		
	ადრე ანგარიშგებული	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიცირებული
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,893	(2,073)	1,820
სხვა აქტივები	107	2,073	2,180

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების შესადარისი ინფორმაცია რეკლასიფიცირებულ იქნა 2017 წლის ინფორმაციასთან შესაბამისობის მიზნით.

ლარი'000	31 დეკემბერი 2016		
	ადრე ანგარიშგებული	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიცირებული
მოგება დაბეგვრამდე	1,576		1,576
წმინდა შემოსულობა უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან	(563)	39	(524)
სესხების და დასაკუთრებული აქტივების გაუფასურების ხარჯი	330	64	394
ბონუსები და აუდიტორული მომსახურების ღირებულების დარიცხვა	-	181	181
კლიენტებზე გაცემული სესხები	(10,157)	1,612	(8,545)
სხვა აქტივები	3	(1,535)	(1,532)
სხვა ვალდებულებები	245	(367)	(122)
მიღებული პროცენტი	5,179	273	5,452
გადახდილი პროცენტი	-	(2,293)	(2,293)
სხვა	(3,050)	-	(3,050)
მოგების გადასახადის გადახდამდე საოპერაციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(6,437)	(2,026)	(8,463)
გადახდილი მოგების გადასახადი	(418)	-	(418)
ოპერაციებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრების გადინება	(6,855)	(2,026)	(8,881)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(201)	135	(66)
სხვა	(234)	-	(234)
წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობებიდან	(435)	135	(300)
ამონაგები სესხებიდან და სუბორდინირებული სესხიდან	41,359	(4,655)	36,704
სესხების და სუბორდინირებული სესხის დაფარვა	(32,216)	4,724	(27,492)
სხვა	987	-	987
წმინდა ფულადი ნაკადი ფინანსური საქმიანობებიდან	10,130	69	10,199
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	2,840	(1,822)	1,018
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(85)	349	264
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,138	(600)	538
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	3,893	(2,073)	1,820

5 წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2017 ლარი'000	2016 ლარი'000
საპროცენტო შემოსავალი		
კლიენტებზე გაცემული სესხები	8,241	5,553
ბანკებში განთავსებული თანხები	2	2
	8,243	5,555
საპროცენტო ხარჯი		
სესხები ფიზიკური პირებისგან	(2,239)	(1,660)
სესხები იურიდიული პირებისგან	(678)	(487)
სხვა სესხები	(522)	(242)
	(3,439)	(2,389)

6 სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები

	2017 ლარი'000	2016 ლარი'000
რეკლამა და მარკეტინგი	438	306
იჯარა	414	276
ცვთა და ამორტიზაცია	189	115
საკონსულტაციო მომსახურება	115	76
საბანკო მოსაკრებლები	48	37
საოფისე საქონელი	74	32
კომუნალური მომსახურებები	50	31
განცხადების შემოწმება	35	25
კომუნიკაცია	35	24
უსაფრთხოება	32	21
საგადასახადო ხარჯი მოგების გადასახადის გარდა	7	18
სხვა	108	93
	1,545	1,054

2017 წლისთვის, ფინანსური აუდიტის პროფესიონალურმა სავასურმა 66 ათასი ლარი (2016 წელს: 34 ათასი ლარი) შეადგინა.

7 მოგების გადასახადის ხარჯი

	2017 ლარი'000	2016 ლარი'000
მიმდინარე წლის საგადასახადო ხარჯი	170	323
მომრაობა გადავადებულ საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებში, რომელიც გამოწვეულია შეფასების რეზერვებში დროებითი სხვაობების	(19)	(60)
სულ მოგების გადასახადი ხარჯი	151	263

2017 წელს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი მოქმედი საგადასახადო განაკვეთი შეადგენს 15%-ს (2016 წელს: 15%).

31 დეკემბრით დასრულებული წლის მოქმედი საგადასახადო განაკვეთის შეჯერება:

	2017 ლარი'000	%	2016 ლარი'000	%
მოგება დაბეგვრამდე	896		1,576	
მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო განაკვეთით	134	15%	236	15%
დაუქვითავი ხარჯები (დაუქვითავი შემოსავალი)	17	2%	27	2%
	151	17%	263	17%

(a) გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობები წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო აქტივებს 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. მომავალი საგადასახადო სარგებლის რეალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოგებები ხელმისაწვდომი იქნება გამოყენებულ საგადასახადო ზარალთან მიმართებაში და ადგილი არ ექნება ცვლილებებს კანონმდებლობასა და რეგულაციებში, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ „კომპანიის“ უნარზე მოითხოვოს დაქვითვები მომავალ პერიოდებში. ეს მომავალი საგადასახადო სარგებლები არ აღიარდება, მათ რეალიზაციასთან დაკავშირებული გაურკვევლობების გამო.

დაქვითვად დროებით სხვაობებს ვადა არ გასდის მიმდინარე საგადასახადო კანონმდებლობის ფარგლებში.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში მოძრაობა დროებით სხვაობებში შემდეგი სახით აისახება:

2017	ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	მოგებაში ან ზარალში აღიარებული	ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს
ლარი'000			
კლიენტებზე გაცემული სესხები	133	81	214
ძირითადი საშუალებები	(40)	(87)	(127)
არამატერიალური აქტივები	(1)	2	1
სხვა აქტივები	10	5	15
სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასასხები თანხები	12	8	20
სხვა ვალდებულებები	34	10	44
	148	19	167
2016	ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	მოგებაში ან ზარალში აღიარებული	ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს
ლარი'000			
კლიენტებზე გაცემული სესხები	85	48	133
ძირითადი საშუალებები	(28)	(12)	(40)
არამატერიალური აქტივები	-	(1)	(1)
სხვა აქტივები	-	-	10
სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასასხები თანხები	8	4	12
სხვა ვალდებულებები	23	11	34
	88	60	148

8 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2017 ლარი'000	2016 ლარი'000
ნაღდი ფული სალაროში	818	635
ნაღდი ფული ბანკებში		
BB- საერთაშორისო რეიტინგის ბანკებში	316	1,185
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,134	1,820

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არ არიან გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიას“ არ ჰყავს ბანკი (2016 წელი: 1 ბანკი), რომლის ნაშთებიც მისი საკუთარი კაპიტალის 10%-ს აღემატება. ამ ნაშთების მთლიანი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა ნულს (2016 წელს: 647 ათასი ლარი).

(a) ხელშეკრულებები უცხოურ ვალუტაში

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია უცხოური სავალუტო (ძირითადი ვალუტები) ფორვარდული სახელშეკრულებო თანხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საშუალო შეწონილი სახელშეკრულებო გაცვლითი კურსების და დარჩენილი ვადების მითითებით. ქვემოთ წარმოდგენილი თანხები უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულია ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. შედეგად მიღებული არარეალიზებული შემოსულობები და ზარალები ამ მოქმედ ხელშეკრულებებზე, გადასახდელ და მისაღებ თანხებთან ერთად, აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ხოლო ფინანსური ინსტრუმენტები შესაბამისად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, სიტუაციიდან გამომდინარე.

*სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური განმარტებითი
შენიშვნები, რომლებიც ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ*

	ნომინალური ღირებულება		საშუალო შეწონილი სახელშეკრულებო გაცვლითი კურსები	
	2017	2016		
	ლარი'000	ლარი'000	2017	2016
აშშ დოლარის ყიდვა, ლარის გაყიდვა '000				
3 თვეზე ნაკლები	15,469	206	2.5884	2.1782
3-დან 12 თვემდე	1,177	1,502	2.3762	2.1782

9 კლიენტებზე გაცემული სესხები

	2017 ლარი'000	2016 ლარი'000
კლიენტებზე გაცემული სესხები		
უმრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	19,934	18,501
ბიზნეს სესხები	8,871	5,550
სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხები	4,621	2,834
ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	638	1,499
სესხები უზრუნველყოფის გარეშე	350	12
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	34,414	28,396
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	34,414	28,396
გაუფასურების რეზერვი	(950)	(639)
კლიენტებზე გაცემული წმინდა სესხები	33,464	27,757

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების 50,6% (2016 წელს: 29,70%) გაიცა ბიზნეს მიზნებისთვის.

მომრავა სესხის გაუფასურების რეზერვში იყო შემდეგი:

	2017 ლარი'000	2016 ლარი'000
სესხის გაუფასურების რეზერვი		
ნაშთი წლის დასაწყისში	639	412
წმინდა დარიცხვა	601	330
ჩამოწერები	(432)	(234)
აღდგენა	142	131
ნაშთი წლის ბოლოს	950	639

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია საკრედიტო პროდუქტების ტიპების მიხედვით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი თანხა ლარი'000	გაუფასურების რეზერვი ლარი'000	საბალანსო ღირებულება ლარი'000
კლიენტებზე გაცემული სესხები:			
უმრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	19,934	(511)	19,423
ბიზნეს სესხები	8,871	(225)	8,646
სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხები	4,621	(158)	4,463
ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	638	(43)	595
სესხები უზრუნველყოფის გარეშე	350	(13)	337
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	34,414	(950)	33,464

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია საკრედიტო პროდუქტების ტიპების მიხედვით, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მთლიანი თანხა ლარი'000	გაუფასურების რეზერვი ლარი'000	საბალანსო ღირებულება ლარი'000
კლიენტებზე გაცემული სესხები:			
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	18,501	(421)	18,080
ბიზნეს სესხები	5,550	(116)	5,434
სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხები	2,834	(71)	2,763
ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	1,499	(30)	1,469
სესხები უზრუნველყოფის გარეშე	12	(1)	11
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	28,396	(639)	27,757

(a) კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სულ სესხები ლარი' 000	გაუფასურების რეზერვი ლარი'000	წმინდა სესხები ლარი'000	გაუფასურების რეზერვი მთლიან სესხებზე, %
კლიენტებზე გაცემული სესხები				
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები				
- ვადაგადაცილების გარეშე	19,494	(470)	19,024	2%
- 30 დღემდე ვადაგადაცილებით	264	(19)	245	7%
- 30-დან 89 დღემდე ვადაგადაცილებით	176	(22)	154	13%
სულ უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	19,934	(511)	19,423	3%
ბიზნეს სესხები				
- ვადაგადაცილების გარეშე	8,294	(182)	8,112	2%
- 30 დღემდე ვადაგადაცილებით	377	(11)	366	3%
- 30-დან 89 დღემდე ვადაგადაცილებით	144	(14)	130	10%
- 90-დან 179 დღემდე ვადაგადაცილებით	56	(18)	38	32%
სულ ბიზნეს სესხები	8,871	(225)	8,646	3%
სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხები				
- ვადაგადაცილების გარეშე	4,331	(89)	4,242	2%
- 30 დღემდე ვადაგადაცილებით	109	(2)	107	2%
- 30-დან 89 დღემდე ვადაგადაცილებით	32	(4)	28	13%
- 90-დან 179 დღემდე ვადაგადაცილებით	149	(63)	86	42%
სულ სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხები	4,621	(158)	4,463	3%
ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები				
- ვადაგადაცილების გარეშე	556	(11)	545	2%
- 30 დღემდე ვადაგადაცილებით	32	(1)	31	3%
- 30-დან 89 დღემდე ვადაგადაცილებით	18	(4)	14	22%
- 90-დან 179 დღემდე ვადაგადაცილებით	32	(27)	5	84%
სულ ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	638	(43)	595	7%
სესხები უზრუნველყოფის გარეშე				
- ვადაგადაცილების გარეშე	316	(6)	310	2%
- 30 დღემდე ვადაგადაცილებით	13	(1)	12	8%
- 30-დან 89 დღემდე ვადაგადაცილებით	10	(2)	8	20%
- 90-დან 179 დღემდე ვადაგადაცილებით	11	(4)	7	36%
სულ სესხები უზრუნველყოფის გარეშე	350	(13)	337	4%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	34,414	(950)	33,464	3%

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სულ სესხები ლარი'000	გაუფასურების რეზერვი ლარი'000	წმინდა სესხები ლარი'000	გაუფასურების რეზერვი მთლიან სესხებზე, %
კლიენტებზე გაცემული სესხები				
ძირითადი საშუალებებით				
უზრუნველყოფილი სესხები				
- ვადაგადაცილების გარეშე	18,028	(396)	17,632	2%
- 30 დღემდე ვადაგადაცილებით	319	(7)	312	2%
- 30-დან 89 დღემდე ვადაგადაცილებით	154	(18)	136	12%
სულ ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფილი სესხები	18,501	(421)	18,080	2%
ბიზნეს სესხები				
- ვადაგადაცილების გარეშე	5,470	(114)	5,356	2%
- 30 დღემდე ვადაგადაცილებით	75	(1)	74	1%
- 30-დან 89 დღემდე ვადაგადაცილებით	5	(1)	4	20%
სულ ბიზნეს სესხები	5,550	(116)	5,434	2%
სატრანსპორტო საშუალებებით				
უზრუნველყოფილი სესხები				
- ვადაგადაცილების გარეშე	2,731	(57)	2,674	2%
- 30 დღემდე ვადაგადაცილებით	54	(2)	52	4%
- 30-დან 89 დღემდე ვადაგადაცილებით	36	(3)	33	8%
- 90-დან 179 დღემდე ვადაგადაცილებით	13	(9)	4	69%
სულ სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფილი სესხები	2,834	(71)	2,763	3%
მვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები				
- ვადაგადაცილების გარეშე	1,470	(28)	1,442	2%
- 30 დღემდე ვადაგადაცილებით	25	(1)	24	4%
- 30-დან 89 დღემდე ვადაგადაცილებით	4	(1)	3	25%
სულ მვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	1,499	(30)	1,469	2%
სესხები უზრუნველყოფის გარეშე				
- ვადაგადაცილების გარეშე	3	-	3	-
- 30 დღემდე ვადაგადაცილებით	1	-	1	-
- 30-დან 89 დღემდე ვადაგადაცილებით	2	-	2	-
- 90-დან 179 დღემდე ვადაგადაცილებით	5	(1)	4	20%
- 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	1	-	1	-
სულ სესხები უზრუნველყოფის გარეშე	12	(1)	11	8%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	28,396	(639)	27,757	2%

(b) მნიშვნელოვანი ვარაუდები და მსჯელობები სესხის გაუფასურების შესაფასებლად

„კომპანია“ აფასებს სესხის გაუფასურებას კლიენტებზე გაცემული სესხებისთვის, მისი განვლილი ისტორიული ზარალის გამოცდილების საფუძველზე, სესხის თითოეული ტიპისთვის. ხელმძღვანელობის მიერ კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ზარალის განსაზღვრაში გამოყენებული მნიშვნელოვანი ვარაუდები მოიცავს შემდეგს:

- სესხის მიგრაციის განაკვეთები მუდმივია და შესაძლოა შეფასდეს ბოლო 48 თვის განმავლობაში ისტორიული ზარალის მიგრაციის ნიმუშის საფუძველზე;
- „კომპანია“ არ იყენებს რაიმე სახის ფასდაკლებას დაყადაღებული უზრუნველყოფის გაყიდვისას.

(c) გირაოს და სხვა საკრედიტო უზრუნველყოფების ანალიზი

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების უზრუნველყოფა ხდება საცხოვრებელი უძრავი ქონებით. „კომპანიის“ პოლიტიკას წარმოადგენს უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემა სესხი-ღირებულების მაქსიმუმ 60%-იანი კოეფიციენტის გამოყენებით სესხის გაცემის თარიღისთვის.

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი კონკრეტული სესხებისთვის, „კომპანია“ აახლებს თავდაპირველად მიღებული უზრუნველყოფის ღირებულების შეფასებას ქონების ღირებულებაში მოსალოდნელი ცვლილების გათვალისწინებით. „კომპანიას“ ასევე შეუძლია გირაოს კონკრეტული ინდივიდუალური შეფასების მიღება თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის, როდესაც არსებობს მინიშნება გაუფასურების შესახებ. უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი დარჩენილი სესხებისთვის, გირაოს სამართლიანი ღირებულება შეფასდა სესხის ამოღებისას და ის არ შეცვლილა ანგარიშგების თარიღისთვის შემდგომი ცვლილებების გათვალისწინებით.

ავტო სესხები უზრუნველყოფილია შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებებით. „კომპანიის“ პოლიტიკა მოიცავს სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემას სესხი-ღირებულების მაქსიმუმ 50%-იანი კოეფიციენტით სესხის გაცემის თარიღისთვის.

ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხების უზრუნველყოფას შესაბამისი ძვირფასი ლითონები წარმოადგენს. „კომპანიის“ პოლიტიკა მოიცავს ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემას სესხი-ღირებულების მაქსიმუმ 60%-იანი კოეფიციენტით სესხის გაცემის თარიღისთვის.

ბიზნეს სესხების უზრუნველყოფა ხდება შესაბამისი უძრავი ქონებით და სატრანსპორტო საშუალებებით. „კომპანიის“ პოლიტიკა მოიცავს ბიზნეს სესხების გაცემა სესხი-ღირებულების მაქსიმუმ 60%-80%-იანი კოეფიციენტით სესხის გაცემის თარიღისთვის.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია გირაოს, სესხის პორტფელის უზრუნველყოფის შესახებ, გაუფასურების გამოკლებით.

ლარი'000	უძრავი ქონება	სატრანსპორტო საშუალებები	ძვირფასი ლითონები	გირაოს გარეშე	სულ
2017 წლის 31 დეკემბერს					
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	19,423	-	-	-	19,423
ბიზნეს სესხები	7,167	1,479	-	-	8,646
სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხები	-	4,463	-	-	4,463
ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	-	-	595	-	595
სესხები უზრუნველყოფის გარეშე	-	-	-	337	337
სულ	26,590	5,942	595	337	33,464
ლარი'000					
2016 წლის 31 დეკემბერს					
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	18,080	-	-	-	18,080
ბიზნეს სესხები	4,975	459	-	-	5,434
სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფილი სესხები	-	2,763	-	-	2,763
ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	-	-	1,469	-	1,469
სესხები უზრუნველყოფის გარეშე	-	-	-	11	11
სულ	23,055	3,222	1,469	11	27,757

ზემოთ მოცემული ცხრილები გამორიცხავს ზედმეტი ღირებულების გირაოს საგანს. რამდენიმე სახეობის გირაოს საგნით უზრუნველყოფილი სესხებისთვის, წარედგინება უზრუნველყოფა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება გაუფასურების შეფასებას.

(d) სასესხო პორტფელის გეოგრაფიული ანალიზი

კლიენტებზე გაცემული სესხები საქართველოში მდებარე კლიენტებზე გაცემულ სესხებს მოიცავს.

სესხის ვადები

სასესხო პორტფელი ვადიანობა წარმოადგენილია შენიშვნაში 14(f), რომელიც ასევე უჩვენებს დარჩენილ ვადას ანგარიშგების თარიღიდან სესხების სახელშეკრულებო ვადის დადგომამდე.

10 ძირითადი საშუალებები

ლარი'000	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავეჯი და მოწყობილობები	საიჯარო გაუმჯობესებები	სულ
თვითღირებულება				
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	-	382	257	639
შესყიდვები	755	267	23	1,045
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	755	649	280	1,684
ცვეთა				
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	-	(128)	(52)	(180)
ცვეთა წლის განმავლობაში	(2)	(98)	(41)	(141)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	(2)	(226)	(93)	(321)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	753	423	187	1,363

2017 წლის განმავლობაში არ არსებობს ძირითადი საშუალებების შექმნასთან ან მშენებლობასთან დაკავშირებული კაპიტალიზებული საკრედიტო ხარჯები (2016 წელს: ნული).

ლარი'000	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავეჯი და მოწყობილობები	საიჯარო გაუმჯობესებები	სულ
თვითღირებულება				
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	-	247	160	407
შესყიდვები	-	135	97	232
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	-	382	257	639
ცვეთა				
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	-	(72)	(22)	(94)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(56)	(30)	(86)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	-	(128)	(52)	(180)
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბერს	-	254	205	459

11 სხვა აქტივები

	2017 ლარი'000	2016 ლარი'000
დასაკუთრებული აქტივები	124	91
საკრედიტო ხაზის უზრუნველსაყოფად განთავსებული დეპოზიტი	1,282	2,073
სხვა მოთხოვნები	147	13
ავანსები	1	3
სულ სხვა აქტივები	1,554	2,180

(a) დასაკუთრებულ აქტივებში მოძრაობის ანალიზი

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მოძრაობები დასაკუთრებულ აქტივებში იყო შემდეგი:

	2017 ლარი'000	2016 ლარი'000
დასაკუთრებული აქტივები წლის დასაწყისისთვის	91	87
შესყიდვები	66	105
გაყიდვები	-	(37)
გაუფასურების რეზერვი	(33)	(64)
დასაკუთრებული აქტივები წლის ბოლოს	124	91

12 სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები

	2017 ლარი'000	2016 ლარი'000
ძირი თანხა	31,755	27,006
დარიცხული პროცენტი	191	194
	31,946	27,200

ლარი'000	31 დეკემბერი, 2017 წელი				
	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	აშშ დოლარი	7.50%	2027	519	519
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	ლარი	14%-16%	2018-2020	7,608	7,608
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	ლარი	რეფინანსირების განაკვეთს +1%	2018	1,176	1,176
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	აშშ დოლარი	6.25%-13%	2018-2020	14,761	14,761
არაუზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარისგან	აშშ დოლარი	3.25%	2018	519	519
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	ლარი	16%	2018	36	36
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	ევრო	7.5%-11%	2018-2019	94	
არაუზრუნველყოფილი სესხები ფიზიკური პირებისგან	აშშ დოლარი	6.25%-13%	2018-2019	5,953	5,953
არაუზრუნველყოფილი სესხები ფიზიკური პირებისგან	ლარი	15%-20%	2018-2019	202	202
არაუზრუნველყოფილი სესხები ფიზიკური პირებისგან	ევრო	6%-7.5%	2018	113	113
არაუზრუნველყოფილი სესხები სხვა იურიდიული პირებისგან	აშშ დოლარი	11%-12%	2018	965	965
				31,946	31,946

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ

ლარი'000	ვალუტა	31 დეკემბერი, 2016 წელი			
		ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	ლარი	16%	2017-2019	1,024	1,024
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	აშშ დოლარი	5.25%-13.5%	2017-2022	12,507	12,507
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	ლარი	რეფინანსირების განაკვეთს +1%	2018	1,708	1,708
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	ლარი	7.25%-17.5%	2017	2,300	2,300
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	ევრო	8%-11%	2017-2018	78	78
არაუზრუნველყოფილი სესხები ფიზიკური პირებისგან	აშშ დოლარი	5.25%-13.5%	2017-2019	5,726	5,726
არაუზრუნველყოფილი სესხები ფიზიკური პირებისგან	ლარი	15.5%-20%	2017-2018	163	163
არაუზრუნველყოფილი სესხები ფიზიკური პირებისგან	ევრო	6%-9.5%	2017	56	56
არაუზრუნველყოფილი სესხები სხვა იურიდიული პირებისგან	აშშ დოლარი	11%	2017	2,653	2,653
არაუზრუნველყოფილი სესხები სხვა იურიდიული პირებისგან	აშშ დოლარი	11%-12%	2017	985	985
				27,200	27,200

(a) სუბორდინირებული სესხები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებული სესხები 4,991 ათასი ლარის (2016 წელს: 3,823 ათასი ლარი) ოდენობით მოიცავს პარტნიორებისგან მიღებულ სესხებს, რომლებსაც ვადა გასდის 2021-2023 წლებში (2016 წელს: 2017-2022 წწ) და ისინი ატარებენ წლიურ საპროცენტო განაკვეთს 12,5%-ის ოდენობით (2016 წელს: 12,5%). გაკოტრების შემთხვევაში, სუბორდინირებული სესხები გაიცემა „კომპანიის“ ყველა სხვა ვალდებულების სრულად დაფარვის შემდეგ.

(b) უზრუნველყოფები

„კომპანიას“ დაკმაყოფილებული აქვს მისი ყველა ფინანსური უზრუნველყოფა, რომელიც განსაზღვრულია საკრედიტო ხელშეკრულებებში 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(c) ფინანსური საქმიანობებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან დაკავშირებულ ვალდებულებებში მოძრაობების შეჯერება

ლარი'000	უზრუნველყოფილი სესხები და სხვა ნასესხები თანხები
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	27,200
ცვლილებები ფინანსური ფულადი ნაკადებიდან ამონაგები	50,284
სესხის დაფარვა	(45,290)
სულ ცვლილებები ფინანსურ ფულად ნაკადებში	4,994
უცხოური ვალუტის გაცვლით კურსში ცვლილებების გავლენა სხვა ცვლილებები	(248)
საპროცენტო ხარჯი	3,439
გადახდილი პროცენტი	(3,439)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	31,946

13 სააქციო კაპიტალი და რეზერვები

(a) გამოშვებული კაპიტალი

უფლებამოსილი, გამოშვებული და ნარჩენი სააქციო კაპიტალი მოიცავს 2,155,000 ჩვეულებრივ აქციას (2016 წელს: 2,100,000). ყველა აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი. 2017 წლის განმავლობაში, გამოშვებულ იქნა 55,000 ჩვეულებრივი აქცია (2016 წელს: 486,500 აქცია).

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და „კომპანიის“ ყოველწლიურ და საერთო კრებაზე ერთ აქციაზე აქვთ ერთი ხმის უფლება.

(b) გარედან დაკისრებული კაპიტალური მოთხოვნები

საქართველოს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, „კომპანია“ უნდა ფლობდეს გამოშვებულ კაპიტალს, რომელიც არ არის 1,000 ათას ლარზე ნაკლები. „კომპანია“ შეესაბამებოდა ამ მოთხოვნებს 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(c) დივიდენდები

დივიდენდების ვალდებულება შეზღუდულია „კომპანიის“ მაქსიმალური გაუნაწილებელი მოგებით, რომელიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2017 წლის განმავლობაში და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღამდე, „კომპანიას“ დივიდენდები არ გამოუცხადებია.

14 რისკების მართვა კორპორატიული მმართველობა და შიდა კონტროლის მექანიზმები

(a) კორპორატიული მმართველობის სტრუქტურა

„კომპანია“ რეგისტრირებულია როგორც სააქციო საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. „კომპანიის“ უმაღლესი მმართველი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა ყოველწლიური ან რიგგარეშე კრებების სახით. აქციონერთა საერთო კრება იღებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს „კომპანიის“ ოპერაციებთან დაკავშირებით.

აქციონერთა საერთო კრება ირჩევს დირექტორთა საბჭოს. ეს უკანასკნელი პასუხს აგებს „კომპანიის“ საქმიანობების მთლიან მმართველობაზე.

საქართველოს კანონმდებლობა და „კომპანიის“ წესდება ადგენს იმ გადაწყვეტილებების სიას, რომელიც ექსკლუზიურად მოწმდება აქციონერთა საერთო კრების და მტკიცდება მმართველთა საბჭოს მიერ.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ მმართველთა საბჭოში შედიან შემდეგი პირები:

გია პეტრიაშვილი – მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი
გიორგი ღვალაძე – საკრედიტო დეპარტამენტის დირექტორი
ეთერი ჩაჩიბაია – ოპერაციების დირექტორი
თათია ჯაჯანაშვილი – ფინანსური დეპარტამენტის დირექტორი
ნინო დევდარიანი – რისკების მართვის დეპარტამენტის დირექტორი

„კომპანიის“ ზოგადი საქმიანობა იმართება „კომპანიის“ ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს (გენერალური დირექტორი და მმართველთა საბჭო) მიერ. აქციონერთა საერთო კრება ირჩევს გენერალურ დირექტორს და მმართველთა საბჭოს. „კომპანიის“ მმართველთა საბჭო

პასუხს აგებს აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებების შესრულებაზე. „კომპანიის“ მმართველთა საბჭო ანგარიშვალდებულია აქციონერთა საერთო კრების წინაშე.

(b) შიდა კონტროლის პოლიტიკები და პროცედურები

დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობა მოიცავს „კომპანიის“ შიდა კონტროლის მექანიზმების შემუშავებას, განხორციელებას და შენარჩუნებას, რომლებიც შეესაბამება საქმიანობების მასშტაბს და ხასიათს.

შიდა კონტროლის მექანიზმების მიზანს წარმოადგენს შემდეგის უზრუნველყოფა:

- რისკების სათანადო და სრულყოფილი შეფასება და მართვა;
- შესაბამისი ბიზნეს და სააღრიცხვო, ასევე ფინანსური ანგარიშგების ფუნქციები, მათ შორის ოპერაციების სათანადო ავტორიზაცია, დამუშავება და აღრიცხვა;
- სააღრიცხვო ჩანაწერების, მმართველობითი ინფორმაციის, მარეგულირებელი ანგარიშებისა და სხვ. სისრულე, სიზუსტე და დროულობა;
- IT-სისტემების სანდოობა, მონაცემებისა და სისტემების მთლიანობა და დაცვა;
- თაღლითური და უკანონო საქმიანობების, მათ შორის აქტივების უკანონოდ დასაკუთრების პრევენცია;
- კანონმდებლობასა და რეგულაციებთან შესაბამისობა.

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს რისკების იდენტიფიცირებასა და შეფასებაზე, საკონტროლო მექანიზმების შემუშავებასა და მათი ეფექტურობის მონიტორინგზე. ხელმძღვანელობა ახდენს „კომპანიის“ შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის მონიტორინგს და პერიოდულად შეიმუშავებს დამატებით საკონტროლო მექანიზმებს ან აახლებს არსებულ მექანიზმებს, საჭიროებიდან გამომდინარე.

„კომპანია“ შეიმუშავებს სტანდარტების, პოლიტიკების და პროცედურების სისტემას ეფექტური ოპერაციების და შესაბამის საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის შემდეგი მიმართულებით:

- უფლებების შესაბამისი სეგრეგაციის მოთხოვნები, მათ შორის ოპერაციების დამოუკიდებელი ავტორიზაცია;
- ოპერაციების აღრიცხვის, შეჯერების და მონიტორინგის მოთხოვნები;
- მარეგულირებელ და სხვა სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- საკონტროლო მექანიზმების და პროცედურების დოკუმენტირება;
- „კომპანიის“ წინაშე მდგარი საოპერაციო რისკების პერიოდული შეფასებისა და იდენტიფიცირებული რისკების შესამსუბუქებლად არსებული პროცედურების პერიოდული შეფასების მოთხოვნები;
- საოპერაციო ზარალის შესამსუბუქებლად არსებული პრევენციული ქმედებების ანგარიშგების მოთხოვნები;
- საგანგებო ვითარებაში მოქმედების გეგმების შემუშავება;
- ტრენინგი და პროფესიონალური განვითარება;
- ეთიკური და ბიზნეს სტანდარტები, და
- რისკების შემსუბუქება, მათ შორის დაზღვევა (შესაბამის შემთხვევაში).

არსებობს ოპერაციების ავტორიზაციის ეიარარქია მათი ზომისა და კომპლექსურობის საფუძველზე. ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ავტომატურად ხორციელდება და „კომპანია“ ფლობს ავტომატური საკონტროლო მექანიზმების სისტემას.

„კომპანიაში“ შიდა კონტროლის სისტემა მოიცავს:

- მმართველთა საბჭოს;
- უფროს ბუღალტერს;

- რისკების მართვის ფუნქციას;
- უსაფრთხოების ფუნქციას, IT-უსაფრთხოების ჩათვლით;
- ადამიანური რესურსების ფუნქციას;
- სხვა თანამშრომლებს, განყოფილებებს და ფუნქციებს, რომლებიც პასუხს აგებენ დადგენილ სტანდარტებთან, პოლიტიკებთან და პროცედურებთან შესაბამისობაზე, მათ შორის:
 - ფილიალის ხელმძღვანელებს;
 - იურისტებს - სამართლებრივ და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი;
 - კონტროლის პასუხისმგებლობის მქონე სხვა თანამშრომლებს/განყოფილებებს.

(c) რისკების მართვის პოლიტიკები და პროცედურები

რისკების მართვა „კომპანიის“ ბიზნესისთვის ფუნდამენტურია და „კომპანიის“ ოპერირებისთვის აუცილებელი ელემენტების ფორმირებას ახდენს. „კომპანიის“ წინაშე მდგარი ყველაზე მნიშვნელოვანი რისკებია საბაზრო, საკრედიტო, ლიკვიდურობის, ასევე საოპერაციო, იურიდიული და რეპუტაციასთან დაკავშირებული რისკები.

რისკების მართვის პოლიტიკები მიზნად ისახავს რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს და მართვას, რისკების სათანადო ზღვრის დაწესებას და კონტროლს, რისკის დონის მუდმივ კონტროლს და ლიმიტების დაცვას. ხდება რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების რეგულარული გადახედვა, რათა მასში საბაზრო პირობების, შეთავაზებული პროექტებისა თუ სერვისებში არსებული ცვლილებებში საუკეთესო საბაზრო პრაქტიკები აისახოს.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია მნიშვნელოვანი რისკების მართვის სისტემის ზედამხედველობაზე, პოლიტიკებსა და ძირითად რისკებზე პროცედურების დამტკიცებასა და მნიშვნელოვნად დიდი სესხების გაცემის დადასტურებაზე.

მმართველთა საბჭო პასუხს აგებს რისკების შემამსუბუქებელი ღონისძიებების მონიტორინგსა და განხორციელებაზე, ასევე იმის უზრუნველყოფაზე, რომ „კომპანია“ ფუნქციონირებს რისკების დადგენილი პარამეტრების ფარგლებში.

„კომპანიის“ მმართველ ორგანოებს აქვთ პასუხისმგებლობა „კომპანიის“ მიერ რისკების ზღვრებთან და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან შესაბამისობის კონტროლზე, „კომპანიის“ შიდა დოკუმენტაციით განსაზღვრული ფორმით.

გარე და შიდა რისკ ფაქტორების იდენტიფიცირება და მართვა ხორციელდება ორგანიზაციის მასშტაბით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკ ფაქტორების სრული სპექტრის იდენტიფიცირებას და მიმდინარე რისკების შემამსუბუქებელ პროცედურებზე რწმუნების დონის განსაზღვრას. სტანდარტული საკრედიტო და საბაზრო რისკების ანალიზისგან დამოუკიდებლად, მმართველთა საბჭო მონიტორინგს უწევს ფინანსურ და არა-ფინანსურ რისკებს საოპერაციო ერთეულებთან რეგულარული შეხვედრებით, იმისთვის რომ მოისმინოს ექსპერტთა მოსაზრებები მათი საქმიანობის სფეროებთან დაკავშირებით.

(d) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო ფასების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის და ფასებთან დაკავშირებულ სხვა რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის ღია პოზიციების გამო, რომლებზეც მოქმედებს ბაზრის მთლიან და სპეციფიურ ცვლილებებს, აგრეთვე საბაზრო ფასების და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების მერყეობას. საბაზრო რისკების მართვის მიზანია მისაღები პარამეტრების ფარგლებში აკონტროლოს და მართოს საბაზრო რისკების გავლენა, მაშინ როცა ხდება რისკზე ამონაგების ოპტიმიზება.

*სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური განმარტებითი
შენიშვნები, რომლებიც ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ*

„კომპანია“ მართავს მის საბაზრო რისკს ფინანსურ ინსტრუმენტებთან, საპროცენტო განაკვეთის ვადებთან და სავალუტო პოზიციებთან მიმართებაში ღია პოზიციის ლიმიტების დადგენის გზით. მათი მონიტორინგი და გადახედვა რეგულარულად ხორციელდება და მტკიცდება მმართველთა საბჭოს მიერ.

(i) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის მერყეობის გამო. „კომპანიის“ ფინანსურ პოზიციაზე და მის ფულად ნაკადებზე მოქმედებს უპირატესი საბაზრო განაკვეთები. საპროცენტო მარჟები შესაძლოა გაიზარდოს ამგვარი ცვლილებების შედეგად, თუმცა ის ასევე შესაზლოა შემცირდეს ან წარმოქმნას ზარალი იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება მოულოდნელ ცვლილებებს.

საპროცენტო განაკვეთის დეფიციტის ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკი უპირატესად იმართება საპროცენტო განაკვეთის დეფიციტის მონიტორინგის გზით. საპროცენტო განაკვეთის დეფიციტის პოზიციის შეფასება მთავარი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის არის შემდეგი:

ლარი'000	3 თვეზე ნაკლები	3-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	საბალანსო ღირებულება
31 დეკემბერი, 2017 წელი					
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,134	-	-	-	1,134
კლიენტებზე გაცემული სესხები	3,227	6,408	18,737	5,092	33,464
საკრედიტო ხაზის უზრუნველსაყოფად განთავსებული დეპოზიტი	-	1,429	-	-	1,429
	4,361	7,837	18,737	5,092	36,027
ვალდებულებები					
სუბორდინირებული სესხები და სესხად აღებული სხვა თანხები	5,301	16,625	6,690	3,330	31,946
	5,301	16,625	6,690	3,330	31,946
	(940)	(8,788)	12,047	1,762	4,081
31 დეკემბერი, 2016 წელი					
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,820	-	-	-	1,820
კლიენტებზე გაცემული სესხები	7,683	2,176	9,882	8,016	27,757
საკრედიტო ხაზის უზრუნველსაყოფად განთავსებული დეპოზიტი	-	2,086	-	-	2,086
	9,503	4,262	9,882	8,016	31,663
ვალდებულებები					
სუბორდინირებული სესხები და სესხად აღებული სხვა თანხები	3,657	4,830	9,633	9,080	27,200
	3,657	4,830	9,633	9,080	27,200
	5,846	(568)	249	(1,064)	4,463

საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი პროცენტის მატარებელი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ეს საპროცენტო განაკვეთები წარმოადგენენ ამ აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის მომენტამდე უკუგების მიახლოებულ შეფასებას.

	2017			2016		
	საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, %			საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, %		
	ლარი'000	აშშ დოლარი	სხვა ვალუტა	ლარი'000	აშშ დოლარი	სხვა ვალუტა
პროცენტის მატარებელი აქტივები						
კლიენტებზე გაცემული სესხები	31%	22%	0%	25%	24%	0%
პროცენტის მატარებელი ვალდებულებები						
სუბორდინირებული სესხები და სესხად აღებული სხვა თანხები	12%	11%	8%	11%	11%	11%

საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობის ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა, საპროცენტო განაკვეთის დეფიციტის ანალიზის საფუძველზე, ხორციელდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძობელობის მონიტორინგის გზით. ქვემოთ მოცემულია საპროცენტო განაკვეთებში (გადაფასების რისკი) ცვლილების წმინდა მოგება-ზარალზე და კაპიტალზე (გადასახადების გამოკლებით) გავლენის მგრძობელობის ანალიზი, რომელიც 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ აქტივებსა და ვალდებულებებს შეეხება. საპროცენტო განაკვეთებში ცვლილება გამოთვლილია მომგებიანობის მრუდის 100 ბაზისური პუნქტის გაზრდისა და შემცირების გზით.

	2017 ლარი'000	2016 ლარი'000
100-პუნქტიანი პარალელური ვარდნა	9	14
100-პუნქტიანი პარალელური მატება	(9)	(14)

(ii) სავალუტო რისკი

„კომპანიის“ აქტივები და ვალდებულებები რამდენიმე უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული.

სავალუტო რისკი წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ან მომავალი ფულადი ნაკადების ცვლილების რისკს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო. იმის მიუხედავად, რომ „კომპანია“ ახდენს საკრედიტო რისკზე მისი დამოკიდებულების ჰეჯირებას, ამგვარი ქმედებები არ უკავშირდება ჰეჯირებას, როგორც ეს ფასს-შია განმარტებული.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური ვალუტის რისკის სტრუქტურა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	სხვა ვალუტები	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	266	632	236	1,134
კლიენტებზე გაცემული სესხები	21,834	11,630	-	33,464
საკრედიტო ხაზის უზრუნველსაყოფად განთავსებული დეპოზიტი	-	1,282	-	1,282
სულ აქტივები	22,100	13,544	236	35,880
ვალდებულებები				
სუბორდინირებული სესხები და სესხად აღებული სხვა თანხები	9,022	22,717	207	31,946
სულ ვალდებულებები	9,022	22,717	207	31,946
წმინდა პოზიცია	13,078	(9,173)	29	3,934
რისკების მართვის მიზნით ფლობილი წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტი	(16,646)	16,658	-	12
წმინდა პოზიცია რისკების მართვის მიზნით ფლობილ წარმოებულ ინსტრუმენტების გათვალისწინების შემდგომ	(3,568)	7,485	29	3,946

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სავალუტო სტრუქტურა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	სხვა ვალუტები	სულ
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	157	1,523	140	1,820
კლიენტებზე გაცემული სესხები	3,433	24,324	-	27,757
საკრედიტო ხაზის უზრუნველსაყოფად განთავსებული დეპოზიტი	-	2,073	-	2,073
სულ აქტივები	3,590	27,920	140	31,650
ვალდებულებები				
სუბორდინირებული სესხები და სესხად აღებული სხვა თანხები	5,195	21,871	134	27,200
სულ ვალდებულებები	5,195	21,871	134	27,200
წმინდა პოზიცია	(1,605)	6,049	6	4,450
რისკების მართვის მიზნით ფლობილი წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტი	(1,708)	2,073	-	365
წმინდა პოზიცია რისკების მართვის მიზნით ფლობილ წარმოებულ ინსტრუმენტების გათვალისწინების შემდგომ	(3,313)	8,122	6	4,815

ლარის შესუსტება (როგორც ქვემოთ არის აღწერილი) შემდეგი ვალუტის მიმართ 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაზრდიდა (შემცირებდა) კაპიტალსა და მოგება ზარალს ქვემოთ ნაჩვენები ოდენობით. ეს ანალიზი ეფუძნება საშემოსავლო გადასახადის ეფექტს და უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებას, რასაც „კომპანია“ მიზანშეწონილად მიიჩნევს საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, განსაკუთრებით, საპროცენტო განაკვეთი, დარჩება უცვლელი.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“
 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური განმარტებითი
 შენიშვნები, რომლებიც ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ

	2017 ლარი'000	2016 ლარი'000
აშშ დოლარის 10%-იანი გამყარება ლართან მიმართებაში	636	545

ზემოაღნიშნულ ვალუტასთან მიმართებაში 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით ლარის გამყარებას ექნება თანაბარი, მაგრამ უკუეფექტი ზემოაღნიშნული თანხების ვალუტებზე, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა სხვა ცვლადი მაჩვენებელი მუდმივი დარჩება.

(e) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური ზარალის რისკი, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაგენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. „კომპანიას“ აქვს პოლიტიკები და პროცედურები საკრედიტო რისკის სამართავად (როგორც აღიარებული ფინანსური აქტივების, ისე არაღიარებული სახელშეკრულებო ვალდებულებებისთვის), მათ შორის სახელმძღვანელოები პორტფელის კონცენტრაციის შესაზღუდად. საკრედიტო პოლიტიკა გადაიხედება და დამოწმდება მმართველთა საბჭოს მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა ადგენს შემდეგს:

- სესხის საკრედიტო განაცხადის გადახედვისა და დამტკიცების პროცედურები;
- მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგია;
- კონტრაგენტების გადახდისუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგია;
- უზრუნველყოფის შეფასების მეთოდოლოგია;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნები;
- მიმდინარე სესხების და სხვა საკრედიტო ვალდებულებების მონიტორინგის პროცედურები.

სესხის საკრედიტო განაცხადებს ქმნის შესაბამისი კლიენტის მენეჯერი და შემდეგ გადაეცემა ფილიალის მენეჯერებს, რომლებიც პასუხს აგებენ კორპორატიული სესხის პორტფელზე. ანალიზის ანგარიშები ეფუძნება სტრუქტურულ ანალიზებს, რომლებიც კლიენტთა ბიზნესს და ფინანსურ მაჩვენებლებს ეფუძნება.

„კომპანია“ მუდმივად ახდენს ინდივიდუალური საკრედიტო რისკების მონიტორინგს და რეგულარულად გადააფასებს მისი კლიენტების კრედიტუნარიანობას. მიმოხილვა ეფუძნება კლიენტის ბოლო ფინანსურ ანგარიშგებას და მსესხებლის მიერ წარდგენილ, ან „კომპანიის“ მიერ მიღებულ სხვა ინფორმაციას.

საკრედიტო რისკზე მაქსიმალური ოდენობა ზოგადად აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და არაღიარებული სახელშეკრულებო ვალდებულებების თანხებში. აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ურთიერთგაქვითვისის გავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის შესამცირებლად, არ არის მნიშვნელოვანი.

ფინანსური აქტივებიდან წარმოშობილ საკრედიტო რისკზე მაქსიმალური დამოკიდებულება ანგარიშგების თარიღისთვის, იყო შემდეგი:

	2017 ლარი'000	2016 ლარი'000
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,134	1,820
კლიენტებზე გაცემული სესხები	33,464	27,757
საკრედიტო ხაზის უზრუნველსაყოფად განთავსებული დეპოზიტი	1,282	2,073
სულ მაქსიმალური დამოკიდებულება	35,880	31,650

(f) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ „კომპანიას“ გაუჭირდება იმ ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რომელთა დაფარვაც ხდება ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის წარმოდგენის გზით. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის და საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობა და/ან შეუსაბამობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია ლიკვიდურობის მართვისთვის. ფინანსურ ინსტიტუტებს არ ახასიათებთ აბსოლუტური შესაბამისობა, რადგან განხორციელებული საქმიანი გარიგებები ხშირად არაკონკრეტული პირობებით ან განსხვავებული ტიპებით ხასიათდება. შეუსაბამო პოზიციები პოტენციურად ხელს უწყობს მომგებიანობას; ამავდროულად მათ ზარალის რისკის ზრდაც შეუძლიათ.

„კომპანიის“ ლიკვიდურობის მართვის ამოცანაა, რომ ფულადი თანხები იყოს ხელმისაწვდომი, დამდგარი ფინანსური ვალდებულების დასაკმაყოფილებლად.

ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს:

- ფულადი ნაკადების დაგეგმვას ძირითადი ვალუტების ჭრილში და მათთან დაკავშირებით საჭირო ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებით;
- დაფინანსების წყაროების მრავალფეროვანი დიაპაზონის უზრუნველყოფა;
- სესხების კონცენტრაციისა და პროფილის მართვა;
- სესხის დაფინანსების გეგმის უზრუნველყოფა;
- ლიკვიდურობისა და გაუთვალისწინებელი დაფინანსების მოზიდვას.

„კომპანია“ თვალყურს ადევნებს ლიკვიდურობის პოზიციას ყოველდღიურად. ლიკვიდურობის მართვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება და მისი განხორციელება ხდება მმართველთა საბჭოს მიერ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია არადისკონტირებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივების, ვალდებულებებისა და სესხის გაცემასთან დაკავშირებული პირობებისა მათი ყველაზე ადრინდელი სახელშეკრულებო ვადიანობის საფუძველზე. ცხრილებში განხილული მთლიანი შემოდინება და გადინება მოიცავს სახელშეკრულებო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე.

*სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური განმარტებითი
შენიშვნები, რომლებიც ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ*

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

ლარი'000	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	მთლიანი შემოდინება	საბალანსო ღირებულება
არაწარმოებული აქტივები							
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,439	4,001	4,879	5,713	34,546	50,578	33,464
წარმოებული აქტივები							
<i>მთლიანი წარმოებული ინსტრუმენტები</i>							
- შემოდინება	(14,212)	(1,259)	-	(1,175)	-	(16,646)	(16,646)
- გადინება	14,140	1,236	-	1,282	-	16,658	16,658
მთლიანი ფინანსური აქტივები	1,367	3,978	4,879	5,820	34,546	50,590	33,476
არაწარმოებული ვალდებულებები							
სუბორდინირებული სესხები და სესხად აღებული სხვა თანხები	763	5,146	9,858	7,233	13,174	36,174	31,946
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	763	5,146	9,858	7,233	13,174	36,174	31,946
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია აღიარებულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე	604	(1,168)	(4,979)	(1,413)	21,372	14,416	1,530

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

ლარი'000	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები					მთლიანი შემოდინება (გადინება)		საბალანსო ღირებულება
	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	შემოდინება	გადინება		
არაწარმოებული აქტივები								
კლიენტებზე გაცემული სესხები	3,522	3,414	3,182	5,285	23,163	38,566	27,757	
წარმოებული აქტივები								
<i>მთლიანი წარმოებული ინსტრუმენტები</i>								
- შემოდინება	(2)	(206)	-	(1,500)	-	(1,708)	(1,708)	
- გადინება	-	250		1,823	-	2,073	2,073	
მთლიანი ფინანსური აქტივები	3,520	3,458	3,182	5,608	23,163	38,931	28,122	
არაწარმოებული ვალდებულებები								
სუბორდინირებული სესხები და სესხად აღებული სხვა თანხები	477	3,689	3,843	10,652	10,731	29,392	27,200	
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	477	3,689	3,843	10,652	10,731	29,392	27,200	
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია აღიარებულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე	3,043	(231)	(661)	(5,044)	12,432	9,539	922	

ხელმძღვანელობა მოელის, რომ განვილილ გამოცდილებაზე დაყრდნობით კლიენტებზე გაცემული სესხებიდან ფულად ნაკადებს ვადა გაუვა ერთ წელიწადში (2016 წელს: ერთი წელი). ხელმძღვანელობას აქვს დისკრეციული უნარი მართოს სუბორდინირებული სესხებიდან და სხვა ნასესხები თანხებიდან მიღებული ფულადი ნაკადები იმის გამო, რომ ის შეთანხმებას მიაღწევს კრედიტორებთან არსებული საკრედიტო ხაზის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით ან მას შესწევს უნარი ჩაანაცვლოს არსებული საკრედიტო ხაზი, ალტერნატიული დაფინანსების წყაროებით.

(გ) საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკის განმარტება

საოპერაციო რისკი წარმოადგენს პირდაპირი ან არაპირდაპირი დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება „კომპანიის“ პროცესებთან, თანამშრომლებთან, ტექნოლოგიასა და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სხვადასხვა მიზეზით, ასევე გარე ფაქტორებით, გარდა საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკებისა, რომლებიც წარმოიშვება სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნებიდან და კორპორატიული ქცევის ზოგადად მიღებული სტანდარტებიდან. საოპერაციო რისკები წარმოიშვება „კომპანიის“ ყველა ოპერაციასთან მიმართებაში.

„კომპანიის“ მიზანს წარმოადგენს საოპერაციო რისკის ისეთი მართვა, რომ ერთის მხრივ თავი აერიდოს ფინანსურ ზარალს და „კომპანიის“ რეპუტაციის დაზიანებას, ხოლო მეორეს მხრივ უზრუნველყოფილი იყოს ხარჯების მთლიანი ეფექტურობა და ინოვაცია. ყველა შემთხვევაში „კომპანიის“ პოლიტიკა მოითხოვს ყველა მოქმედ საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

„კომპანია“ საოპერაციო რისკის მართვას ახორციელებს შიდა კონტროლის მექანიზმების დანერგვის გზით, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს მისი ოპერაციების ყველა სფეროსთან მიმართებაში.

„კომპანია“ კაპიტალს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების მიხედვით განსაზღვრავს. „კომპანია“ აკონტროლებს მის კაპიტალის ადეკვატურობის დონეებს, რომლებიც დაანგარიშდება საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად.

15 საოპერაციო იჯარები

(a) მოიჯარეობა

31 დეკემბრის მდგომარეობით, წინასწარი შეწყვეტის უფლების გარეშე არსებული საოპერაციო იჯარების გადასახდელები შემდეგია:

	2017 ლარი'000	2016 ლარი'000
1 წელზე ნაკლები	451	382
1-დან 5 წლამდე	947	542
	1,398	924

„კომპანია“ ქირობს რამდენიმე ობიექტს და მოწყობილობას საოპერაციო იჯარების ფარგლებში. იჯარები ტიპიურად იწყება ხუთიდან ათ წლამდე პერიოდისთვის, იჯარის განახლების ფუნქციით. საიჯარო გადახდები ჩვეულებრივ ყოველწლიურად იმატებს ბაზრის საიჯარო პირობების ასახვის მიზნით. არცერთი იჯარა არ მოიცავს პირობით იჯარებს.

16 პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. „კომპანიას“ არ აქვს ქონების, საქმიანობის შეწყვეტის ან მისი ოპერაციებისა ან ქონების მართვის შედეგად წარმოშობილი ქონებასთან ან გარემოს დაზიანებასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების გამო მესამე პირების მიმართ ვალდებულების სრული დაზღვევა. სანამ „კომპანია“ არ მიიღებს ადეკვატურ სადაზღვევო ანაზღაურებას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან კონკრეტული აქტივების ნგრევას ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა „კომპანიის“ ოპერაციებზე და ფინანსურ პოზიციასზე.

(b) სასამართლო დავა

საქმიანობის ნორმალური მიმდინარეობის პროცესში, „კომპანია“ წარმოადგენს სამართლებრივი სარჩელებისა და პრეტენზიების საგანს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მაქსიმალურ ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ამგვარი სარჩელებიდან ან პრეტენზიებიდან, არ ექნება არსებითი უკუ ეფექტი ფინანსურ პირობებზე ან მომავალი ოპერაციების შედეგებზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს ინფორმაცია მის წინააღმდეგ რაიმე სახის მნიშვნელოვანი ფაქტიური, მიმდინარე ან მოსალოდნელი სარჩელის შესახებ.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განმარტებები და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო

კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოები არ დააკისრებენ რაიმე სახის დამატებით გადასახადს, მოსაკრებელს ან ჯარიმას, თუ იმ წლის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც დარღვევას ჰქონდა ადგილი გასული იქნება სამი წელი.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელშეწყობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. ამასთან, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს „კომპანიის“ ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

17 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(a) ოპერაციები აქციონერთა ჯგუფის წევრებთან

თანამშრომელთა ხელფასების კატეგორიაში შესული მთლიანი ანაზღაურება 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის იყო შემდეგი:

	2017 ლარი'000	2016 ლარი'000
თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	657	447
	657	447

ეს თანხები მოიცავს ფულად და არაფულად სარგებელს დირექტორთა და მმართველთა საბჭოს წევრებთან მიმართებაში.

დარჩენილი ნაშთები და საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციებისთვის იყო შემდეგი:

	2017 ლარი'000	საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, %	2016 ლარი'000	საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, %
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
სუბორდინირებული სესხები და სესხად აღებული სხვა თანხები	15,410	10%	14,885	12%

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ოპერაციებთან მიმართებაში მოგებაში ან ზარალში გათვალისწინებული თანხები 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის იყო შემდეგი:

	2017 ლარი'000	2016 ლარი'000
მოგება ან ზარალი		
საპროცენტო ხარჯი	(1,585)	(898)

18 სამართლიანი ღირებულების იერარქია

„კომპანია“ სამართლიანი ღირებულების შეფასებას ახდენს სამართლიანი ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასებაში გამოყენებულ მნიშვნელოვან მონაცემებს:

- დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი დაუკორექტირებელი აქტიურ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის.
- დონე 2: მონაცემები გარდა პირველ დონეში შემავალი საბაზრო ფასებისა, რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია ასევე მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება: აქტიურ ბაზარზე კოტირებული ბაზრის ფასების გამოყენებით მსგავსი ინსტრუმენტებისთვის; კოტირებულ ფასებს მსგავსი ინსტრუმენტებისთვის ბაზრებზე, რომლებიც აქტიურზე ნაკლებად მოიაზრებიან; ან სხვა შეფასების ტექნოლოგიები, სადაც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებიდან.
- დონე 3: არადაკვირვებადი მონაცემები. ეს კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომელშიც შეფასების ტექნიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად მონაცემებს და როდესაც არადაკვირვებად მონაცემებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ინსტრუმენტის შეფასებაზე. ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასების საფუძველზე და როდესაც საჭიროა მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი შესწორებები ან დაშვებები ინსტრუმენტებს შორის სხვაობების ასახვისთვის.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეფასებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, იერარქიის იმ დონით, რომელშიც ხდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა:

ლარი'000				სულ	სულ
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,134	-	-	1,134	1,134
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	34,947	34,947	33,464
საკრედიტო ხაზის უზრუნველსაყოფად განთავსებული დეპოზიტი	1,282	-	-	1,282	1,282
ვალდებულებები					
სუბორდინირებული სესხები და სესხად აღებული სხვა თანხები	-	-	31,946	31,946	31,946

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეფასებულია 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, იერარქიის იმ დონით, რომელშიც ხდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა:

ლარი'000				სულ	სულ
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,820	-	-	1,820	1,820
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	27,757	27,757	27,757
საკრედიტო ხაზის უზრუნველსაყოფად განთავსებული დეპოზიტი	2,073	-	-	2,073	2,073
ვალდებულებები					
სუბორდინირებული სესხები და სესხად აღებული სხვა თანხები	-	-	27,200	27,200	27,200